ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 42 (1471), პარასკევი, 15 ოქტომბერი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

მოკავშირე რესპუბლიკები ემზადებიან

როგორც ცნობილია, მთელი ჩვენი ქვეყანა გაცხოველებით ემზადება შ. რუსთაველის იუბილისათვის. „ჩვენი გაზეთის“ კორესპონდენტი მოსკოვში შეხვდა ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის მწერალთა კავშირის წარმომადგენლებს და ესაუბრა ამ დიდი თარიღისათვის მზადების საკითხებზე.

საბჭოთა უკრაინამ უკვე დაიწყო მზადება შოთა რუსთაველის იუბილისათვის, — თქვა უკრაინის მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა ს. ოლეინიკმა, — შეიქმნა საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც მეთაურობს ცნობილი საბჭოთა პოეტი, ქართული მწერლობის მეგობარი პ. ტიჩინა. იუბილის დღეებში მთელი უკრაინის ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, კოლმეურნეობებსა და შახტებში გაიმართება საზეიმო საღამოები. 1966 წლის სექტემბერში გამოვა შ. რუსთაველის უკვდავი პოემა. განზრახულია, რომ იუბილის დღეებში გამოქვეყნდეს სხვადასხვა მასალები რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამ დიდი პოეტის სახელი მიენიჭება უკრაინის დიდი ქალაქების სკოლებსა და ქუჩებს. იუბილის წინ უკრაინაში მოეწყობა ქართული ლიტერატურის კვირეული.

ბელორუსიის მწერლებს განზრახული აქვთ ფართოდ აღნიშნონ ქართველი ხალხის ამ დიდი შვილის იუბილე — თქვა პეტრუს ბროვკამ. — 1966 წლის შემოდგომაზე ბელორუსი მკითხველები მიიღებენ „ვეფხისტყაოსნის“ ახალ თარგმანს. შოთას იუბილეს ფართოდ გააშუქებს ბელორუსიის პრესა, რადიო და ტელევიზია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სათანადოდ აღვნიშნოთ გენიოსი პოეტის იუბილე.

— სომხეთში უკვე დაიწყეს მზადება შ. რუსთაველის იუბილისათვის, — თქვა გ. სარიანმა. — ახლა მზადდება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი. ეს საიუბილეო გამოცემა იქნება. მოეწყობა სპეციალური გამოფენა, საზეიმო საღამოები და სხვ.

ყოველდღიურად ისახება ახალ-ახალი ღონისძიებები. მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი, საბჭოთა მწერლები ღირსეულად შეხვდებიან შ. რუსთაველის იუბილეს.

მწერალთა საერთაშორისო კონგრესზე

ამ დღეებში რომში მუშაობა დაამთავრა ევროპის მწერალთა გაერთიანების კონგრესმა, რომლის მუშაობაშიც ოცდახუთი ქვეყნის ორასზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა.

საბჭოთა კავშირიდან იყვნენ ი. აბაშიძე, ვ. აქსიონოვი, მ. ბაჟანი, ვ. ბოკოვი, მ. ქარიმი, ი. მარცინკიავიჩიუსი, ბ. რიურიკოვი, კ. სიმონოვი, ა. სურკოვი, ბ. სუჩკოვი, ა. ტვარდოვსკი, ვ. შკლოვსკი და სხვ.

კონგრესმა მოისმინა გაერთიანების გენერალური მდივნის ჯანკარლო ვიგორელის მოხსენება და აირჩია ახალი ხელმძღვანელი ორგანოები. თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ცნობილი იტალიელი მწერალი ჯუზეპე უნგარეტი, გენერალურ მდივნად — ჯანკარლო ვიგორელი. გაერთიანების ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია ა. ტვარდოვსკი. გაერთიანების ხელმძღვანელ საბჭოში არჩეულია ირაკლი აბაშიძე.

8 ოქტომბერს, ამ კონგრესის დამთავრების შემდეგ, გაიხსნა მწერალთა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ევროპის მწერალთა გაერთიანებამ მოაწყო. კონგრესის გახსნას ესწრებოდნენ იტალიის მთავრობის წარმომადგენელი, იუნესკოს, იტალიის მწერალთა ორგანიზაციებისა და მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონგრესის მუშაობა ოთხ დღეს გრძელდებოდა. კონგრესის მონაწილენი განიხილავდნენ თემას: „ავანგარდიზმი ევროპის ლიტერატურაში გუშინ და დღეს“. დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი ა. ტვარდოვსკის, ვ. შკლოვსკის, ვ. აქსიონოვის და ბ. სუჩკოვის გამოსვლები. იტალიელმა პოეტმა ჯ. უნგარეტიმ ილაპარაკა ლიტერატურაში ჰუმანიზმის კეთილშობილურ ტრადიციებზე. პორტუგალიელმა პოეტმა რეისმა მოითხოვა ხელოვნებისა და ლიტერატურის იმ მოღვაწეთა განთავისუფლება, რომლებიც სალაზარის საპყრობილეებში იტანჯებიან. ამ მოწოდებას კონგრესის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. საინტერესო იყო ფრანგი მწერლის ჟან-პოლ სარტრის, პოლონელი მწერლის ი. ივაშკევიჩის და სხვათა გამოსვლები.

კონგრესის დამთავრების შემდეგ [illegible] კორესპონდენტი ესაუბრა ევროპის მწერალთა გაერთიანების ხელმძღვანელი საბჭოს წევრს ირაკლი აბაშიძეს, რომელმაც განაცხადა:

ავანგარდიზმს დასავლეთ ევროპაში ბევრ ერთმანეთის საწინააღმდეგო ლიტერატურულ მიმდინარეობას უწოდებენ. ავანგარდისტებად სთვლიან როგორც მწერლებს, რომლებიც ახალი ლიტერატურული ფორმების ძიებას სჯერდებიან, ისე აგრეთვე იმათ, ვინც თავის შემოქმედებაში ახალ პრობლემებს სახავს. და, ბოლოს, საერთოდ ლიტერატურულ ახალგაზრდობას. ახლანდელმა რომის კონგრესმა საშუალება მისცა მის მონაწილეებს უკეთ გასცნობოდნენ თანამედროვე ევროპული ლიტერატურის ბევრ რთულ მოვლენას, გამოეთქვათ თავიანთი თვალსაზრისი ნოვატორობის როლსა და ამოცანებზე.

რომში დამთავრებულ ლიტერატორთა ფორუმზე, — თქვა დასასრულ ირ. აბაშიძემ, — დაისახა ევროპის მწერალთა გაერთიანების შემდგომი საქმიანობის პროგრამა. კერძოდ, განზრახულია უახლოეს დროში სტოკჰოლმში მოეწყოს „მრგვალი მაგიდის“ თათბირი სკანდინავიის ლიტერატურის პრობლემებზე. შემდგომი წლის მაისში ვარშავაში მოეწყობა თათბირი ლიტერატურული კრიტიკის საკითხებზე. განზრახულია აგრეთვე თბილისში შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სემინარის მოწყობა პოეზიის საკითხებზე. საბჭოთა ლიტერატორებს ევროპის მწერალთა გაერთიანებაში მუშაობა სასარგებლოდ და საინტერესოდ მიაჩნიათ.

თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენის ექსპონატებიდან



სპექტაკლ „ბულარას“ ესკიზი. მხატვარი დ. თავაძე.



სპექტაკლ „ჰამლეტის“ ესკიზი. მხატვარი ი. გამრეკელი.

კონფერენცია თეატრისა და კინოს მხატვრობის საკითხებზე

დიდი ხნის შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს სამ მოძმე რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მწერლებსა და პოეტებს, მხატვრებსა და თეატრალურ მუშაკებს. ამ მეგობრობას საუკუნეების წინათ ჩაეყარა საფუძველი და თანდათანობით სულ უფრო მტკიცდება. ამიერკავკასიის ხელოვნების მუშაკები ხშირად ერთად განიხილავენ ხელოვნების საჭირბოროტო საკითხებს, რაც ზრდის და ამდიდრებს სამი რესპუბლიკის მოღვაწეთა შემოქმედებით არსენალს. ამ მხრივ მეტად საინტერესო იყო ამ დღეებში შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გამართული სემინარი. აქ გაიმართა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თეატრისა და კინოს მხატვრობის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

კონფერენციის გახსნის წინა დღეს, 10 ოქტომბერს, საქართველოს სამხატვრო გალერეასა და რუსთაველის თეატრის ფოიეში გაიხსნა ამიერკავკასიის მხატვარ-დეკორატორთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ქართველი მხატვრების ნამუშევრები. აქ ვიხილავთ სახელმოხვეჭილი ოსტატებისა და ახალგაზრდა მხატვრების ნიჭიერ და საინტერესო ნამუშევრებს.

გამოფენაზე საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს სომეხმა და აზერბაიჯანელმა მხატვარ-დეკორატორებმა.

11 ოქტომბერს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში შეიკრიბნენ ამიერკავკასიის თეატრისა და კინოს მხატვრები, რეჟისორები, მსახიობები, ხელოვნებათმცოდნეები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სსრკ სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ. გამოჩენილი ქართველი მხატვარი მიესალმა სტუმრებს და მოკლედ ილაპარაკა იმ პრობლემებზე, რაც მხატვარ-დეკორატორების წინაშე წამოჭრა ჩვენმა დრომ და რაზეც ფართო მსჯელობა უნდა გაიმართოს კონფერენციაზე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით კონფერენციას მიესალმა რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, კინემატოგრაფისტების კავშირის სახელით — გ. [illegible].

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა მოსკოველმა ხელოვნებათმცოდნემ მ. პოჟარსკაიამ. მისი გამოსვლის თემა იყო „თანამედროვე სპექტაკლებისა და კინოფილმების გაფორმების პრინციპები“. ო. ანდრონიკაშვილმა თავის მოხსენებაში ილაპარაკა საქართველოს თეატრისა და კინოს მხატვართა უკანასკნელი წლების ნამუშევრებზე. ერევნელი ხელოვნებათმცოდნის ლ. [illegible] მოხსენების თემა იყო „სომხეთის თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრები სამი უკანასკნელი წლის მანძილზე“.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსკოველმა მხატვარმა ბ. კნობლოკმა და საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ე. ახვლედიანმა.

ამით დამთავრდა კონფერენციის პირველი დღე. მეორე დღეს მოისმინეს ი. ხუდიევის მოხსენება „აზერბაიჯანის თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების მდგომარეობა“ და შემდეგ გაიმართა კამათი მოსმენილ მოხსენებათა ირგვლივ. კამათში გამომსვლელები შეეხნენ თანამედროვე თეატრისა და კინოს განვითარების აქტუალურ საკითხებს. ამ დღეს კამათში გამოვიდნენ ხ. [illegible] (ერევანი), ე. [illegible] (ტაშკენტი), ე. [illegible] (თბილისი), ა. [illegible] (ბაქო), ი. პონომარენკო (კიევი), ჯ. კუკულაძე, დ. თავაძე, ი. [illegible] (თბილისი).

საღამოს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, რის შემდეგაც კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ნახეს სპექტაკლი „კახაბერის ხმალი“.

კონფერენციის მესამე დღე დაიწყო მოსკოველი მხატვრის მ. კურილკოს მოხსენებით. მისი მოხსენების თემა იყო „ამიერკავკასიის რესპუბლიკების თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა“. მ. კურილკომ ძირითადად თეატრალურ მხატვართა ნამუშევრები განიხილა. ქართველ მხატვართაგან მან კარგი შეფასება მისცა დ. [illegible], ფ. ლაპიაშვილის, დ. [illegible], გ. გუნიას, ჯ. კუკულაძის, დ. თავაძისა და მ. მალაზონიას ესკიზებს. მ. კურილკომ ბევრი საყურადღებო შენიშვნა გამოთქვა [illegible] ნამუშევრების მიმართ.

მ. კურილკოს მოხსენებას აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა მოჰყვა. კამათში მონაწილეობა მიიღეს [illegible] (ბაქო), თ. თავაძემ, [illegible] (მოსკოვი), [illegible] (ერევანი). საბოლოო სიტყვა წარმოთქვა მოსკოველმა ხელოვნებათმცოდნემ მ. პოჟარსკაიამ. ამით კონფერენციამ დაამთავრა მუშაობა.

თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენის ექსპონატებიდან



ოპერა „[illegible]“ ესკიზი. მხატვარი ი. [illegible].



სპექტაკლ „[illegible]“ ესკიზი. მხატვარი ს. ქობულაძე.



სპექტაკლ „სისხლიანი ქორწინების“ ესკიზი. მხატვარი ი. შტენბერგი.

მეგობრობა გრძელდება

ნარკვევი

თბილისს გასცდნენ თუ არა, ლევანი მაშინვე ფანჯარას მიუჯდა. წინ დიდი გზა იყო, ბევრი დრო და უამრავი მოსაგონარი...

ოთხი დღის შემდეგ ლევანი კვლავ დაადგამს ფეხს პოლონეთის მიწას, კვლავ ნახავს ვარშავას, რომელიც ორჯერ უკვე ჰქონდა ნანახი: პირველად ლამაზი, მაგრამ შეშფოთებული, მეორედ — მიწასთან გასწორებული, დენთის კვამლში გახვეული.

„ვინ იცის, იქნებ სოფელ იაბლონაშიც მომიხდეს გავლა, — ფიქრობდა იგი, — იქნებ კვლავ გავიარო იმ ქუჩაზე, სადაც დიდი ხნის წინათ მე და ჩემს ბედში მყოფთ გვიბრძანეს — გვერდზე მიდექით, ესესელებმა უნდა გაიარონ...“

ელმავალი გაჰქროდა ველებზე მიუქროდა, ბორბლები სამგზავროს მღეროდნენ და ლევანის თვალწინ კინოკადრებივით ცოცხლდებოდა გზა, რომლითაც იგი დიდი ხნის წინათ პოლონეთში შევიდა.

როგორ წარმოიდგენდა თუ ასეთი მწარე გზების გავლა მოუხდებოდა ცხოვრებაში. პროფესიაც კეთილშობილი აირჩია. 1936 წელს ექიმის დიპლომი მიიღო და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან იცოდა, სიკვდილის დღემდე სიცოცხლის სადარაჯოზე უნდა მდგარიყო. მაგრამ...

ომი დაიწყო.

ლევანი სანიტარული ბატალიონის მოწინავე ნაწილში ჩარიცხეს და ფრონტისაკენ გაამგზავრეს. ხან [illegible] დასტრიალებდა დაჭრილებს, ხან [illegible].

...ქერჩის ახლოს სამშენებლო ქვის სათლელ მაღაროებში მოაწყეს დაჭრილთა მისაღები. ექიმებს დღედაღამე უხდებოდათ შრომა. [illegible] ფაშისტებმა ალყა შემოარტყეს და...

ტყვეები ჯერ ფეოდოსიაში გარეკეს, მერე კიროვოგრადში.

ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი ჯოჯოხეთური საწამებლებისათვის.

1943 წლის თებერვალში სტალინგრადში საბჭოთა ჯარების წარმატების ამბავმა ტყვეთა ბანაკშიც შეაღწია. შეშფოთდნენ გერმანელები. 23 თებერვალს ტყვეები სასარგო ვაგონებში შერეკეს. რამდენიმე კაცს დანის შეტანა მოეხერხებინა. გადაწყვიტეს, — ვაგონის კედელი გამოჭრან და გაქცეულიყვნენ. შეპეტოვკასთან დაამთავრეს საქმე. ის იყო ბრიანსკის ტყეში აპირებდნენ გაქცევას, რომ ზედამხედველებმა გაიგეს. ამ განზრახვას ორი ტყვე შეეწირა.

...ბრესტი, — სამხედრო ტყვეთა ბანაკი. ეკლიანი მავთულხლართით შემოკავებული ეზო...ბანაკის მეზობლად პატარა სახლი იდგა, წინ პატარა საბოსტნეც ჰქონდა. იმ სახლში ქალი და ხუთიოდე წლის გამხდარი ბიჭუნა ცხოვრობდნენ. დედა მას ვალოდიას ეძახდა. ბანაკსა და ვალოდიას ეზოს მხოლოდ მავთულხლართი ჰყოფდა. როცა ზედამხედველი თვალს მოეფარებოდა, ლევანი ბიჭუნას შორიდან ელაპარაკებოდა, ეფერებოდა. ბოლოს დამეგობრდნენ კიდეც. ბიჭუნამ უთხრა, რომ დედას ირინა ჰქვია, მამა კი თურმე მასაც ჯარში ჰყავდა.

მათი მეგობრობა ამით არ დამთავრებულა. ბიჭი უფრო გაბედული გამოდგა. როცა ზედამხედველი არა ხედავდა, ახლოს მივიდოდა და მავთულხლართის შიგნით შეაგდებდა პურის ნატეხებს და ქაღალდში გახვეულ თამბაქოს, — დედიკომ გამოგიგზავნაო.

ფრონტის ხაზი აქაც მოახლოვდა. საბჭოთა ავიაციამ უკვე ბრესტს დაუწყო ბომბვა. სასწრაფოდ აყარეს ბანაკი. ტყვეები ორ ნაწილად გაყვეს.

უძლურები კვლავ სასარგო ვაგონებში შერეკეს, ვისაც სიარული შეეძლო, ფეხით გაამგზავრეს.

ლევან პაპიძე და ბრესტის ბანაკში გაცნობილმა პოლონელმა ექიმმა იუზეფ ზიმბეროვიჩმა ფეხით წასვლა გადაწყვიტეს, რადგანაც ეგონათ, რომ ასე უფრო მოახერხებდნენ გაქცევას. ფეხით მოიარეს პოლონეთის ბევრი სოფელი და ქალაქი, ბოლოს ვარშავაში შეიყვანეს. ქალაქი ულამაზესი იყო, მაგრამ შეშფოთებული. ქუჩებში ფაცაფუცი იყო. ფრონტის ხაზი ახლოვდებოდა და ევაკუაციისთვის ემზადებოდნენ.

...სოფელი იაბლონა... შიმშილისაგან ღონემიხდილი ტყვეები ძლივს მილასლასებდნენ. ამ დროს მწყობრი ნაბიჯების ხმა გაისმა. ქუჩაში წინ შემოხვდათ ესესელთა ჯგუფი. ტყვეებს უბრძანეს გვერდზე მიდექით, გზა დაუთმეთო.

გაჭირვებით მიდიოდნენ.

ზედამხედველები მხედრული სალმით იდგნენ, ვიდრე ისინი არ ჩაივლიდნენ. ლევანი რომელიღაც სახლის კედელთან მიიხედა. მის ზურგსუკან ღია ფანჯარა იყო, არც დაფიქრებულა, ისე გადაძვრა, კორიდორი გაირბინა, ეზოში გავიდა და საბძელში შერგო თავი. ლევანმა დაინახა, რომ იუზეფ ზიმბეროვიჩმა და კიდევ რამდენიმე ტყვემ მიბაძა. ზედამხედველებს მათი გაპარვა არ შეუმჩნევიათ, რადგან ისინი ესესელთა მედიდური მსვლელობით იყვნენ გართულნი.

მალე საბძელს პატრონი მოადგა. [illegible] — თუ ადამიანი ხარ დამიხსენი, შევევედრა ლევანი. კეთილი კაცი გამოდგა გრიშეკ ნოვიცკი. რკინიგზელის ტანსაცმელი გადააცვა და ოჯახში შეიყვანა. მანვე გააცნო მეგობარი სტანისლავ ვუიციკი. ახლა სტანისლავმა იკისრა ლევანის დამალვა, მანვე მონახა გაქცეული იუზეფ ზიმბეროვიჩი და ერთმანეთს შეახვედრა.

იაბლონა ესესელებით იყო სავსე. გაქცეული რომ ისევ მტერს არ ჩავარდნოდა ხელში, ახლა პროვიზორმა იუზეფ სულიმიერსკიმ შეიყვანა ბინაში, მერე გრიშეკ ნოვიცკის დედამ — მაშომ.

მალე ცეცხლის ხაზმა იაბლონასაც უწია. გრიშეკ ნოვიცკის დედამ სოფელ [illegible] გაიყვანა და იქ ერთ ოჯახში დამალა. აი იმ სოფელში გაიცნო ლევან პაპიძემ პოლონელი ექიმი ლონგინოზ პაევსკი, რომელიც ათი დღე მალავდა საკუთარ ბინაში, რომელმაც ბოლოს მისცა საშუალება მოეშორებინა ფრონტის ხაზზე ლევანი საბჭოთა მეომრებს შეხვედროდა.

ეს 1945 წლის იანვარში მოხდა.

ნაწამები და ხასოწარკვეთილი ლევანი სამშობლოში გამოისტუმრეს. გზად ისევ ვარშავაზე გამოიარა და გული ეტკინა: ქალაქი მიწასთან იყო გასწორებული და ბოლავდა.

ეს დიდი ხნის წინათ მოხდა.

ლევანი ისევ სიცოცხლის სადარაჯოზე დაბრუნდა თბილისის ფიზიოთერაპიულ საავადმყოფოში, ახლა კი მატარებელში იჯდა და პოლონეთისაკენ მიემგზავრებოდა.

„ვინ იცის, სად არიან ახლა ის კეთილი ადამიანები?“ — ფიქრობდა და გული უწუხდა მადლობა ეთქვა მათთვის.

• • •

გაზეთ „ტრიბუნა ლუდუს“ რედაქციაში მადლობის წერილი მიიტანა ლევანმა. რედაქტორის მოადგილემ გულთბილად მიიღო, წერილი გადაიკითხა და შეჰპირდა: — თქვენს ნაცნობებს მოვძებნით და ზოგიერთ მათგანს შეგახვედრებთ.

საბჭოთა ტურისტებმა პოლონეთის ღირსშესანიშნავი ადგილები დაათვალიერეს, ვარშავაში დაბრუნდნენ და ლევანს სასტუმროში დაურეკეს რედაქციიდან. მერე მანქანით მოაკითხეს და ნაცნობებთან შესახვედრად წაიყვანეს.

გზატკეცილზე მიჰქროდა მანქანა და ირგვლივ თითქოს ყველაფერი მღეროდა. 1944 წელს კი ამავე გზაზე [illegible], ნაწამები ლევანი ძლივს მილასლასებდა.

სოფელი იაბლონა... აი, მოდლინის ქუჩა. ამ ქუჩაზე შემოხვდათ ესესელები. აი, სახლი № 109. ეს ფანჯარა იყო ღია, აქედან გაიპარა... ესეც სტანისლავ ვუიციკის სახლი. ამ სახლში მალავდნენ სიკვდილის ბრჭყალებიდან გამოსხლტომილს. აი თვითონ სტანისლავი, კაცი, რომელმაც ესესელთა თვალის ასახვევად ლევანს ყელში სახვევი გაუკეთა და ყრუ-მუნჯად მონათლა.

— ოო, დოქტორ პაპიძე! — ვიღაცამ გარს შემოკრებილნი გაარღვია და ლევანს გადაეხვია.

ეს მისი კოლეგა ლონგინოზ პაევსკია. აგერ კიდევ ლევანის მოამაგე გრიშეკ ნოვიცკი და დედამისი. აი, ადამიანები, რომლებიც ლევანს საკუთარ ჭერქვეშ მალავდნენ, უკანასკნელ ლუკმას შუაზე უყოფდნენ და საკუთარ სიცოცხლეს ხშირად საფრთხეში იგდებდნენ, იმისათვის, რომ ქართველი მეგობრისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ, [illegible]... მაშინ ამათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ ერთმანეთს კიდევ შეხვდებოდნენ.

დამშვიდობებისას მეგობრები საქართველოში მოიწვია. ლევანს ექიმი ლონგინოზ პაევსკი ეწვია ცოლშვილით. ლევან პაპიძის ოჯახში ორი კვირა გრძელდებოდა ზეიმი. 1963 წელს კი ლევანმა პოლონელ მეგობრებთან გაატარა კუთვნილი შვებულება.

პოლონეთიდან დაბრუნებისას ბრესტში გამოიარა. ტყვეთა ყოფილი ბანაკის სანახავად წავიდა. ლევანს გაახსენდა პატარა ვალოდია. მათ ეზოში თამამად შევიდა. აივანზე 24-25 წლის ჭაბუკი იჯდა და წიგნს კითხულობდა.

— ვალოდია აქ ცხოვრობს? — იკითხა ლევანმა.

— ვინ ვალოდია?

ამ დროს სახლიდან ირინა სტეპანოვნა გამოიხედა.

— ვერ მიცნობთ? — ღიმილით ჰკითხა ლევანმა.

ქალმა ვერაფერი უპასუხა.

— გახსოვთ ტყვეთა ბანაკში ქართველი ექიმი?

— უი, ეს თქვენ ბრძანდებით? — გაიცინა ქალმა, მერე ერთხანს უხმოდ უყურებდა და თვალებზე სიხარულის ცრემლიც კი აუწრიალდა.

— აი, ჩემი ვალოდია! — მიუთითა მოხუცებულმა ჭაბუკზე. ვინ იცის, ჭაბუკს ახსოვდა თუ არა ტყვე ექიმი, ლევანს კი ისევ თვალწინ ედგა ის პატარა ბიჭუნა, რომელიც დედის გამოგზავნილ პურის ნატეხებს და ქაღალდში გახვეულ თუთუნს ზედამხედველის შეუმჩნევლად მავთულხლართის შიგნით შეუგდებდა ხოლმე.

• • •

ახლა ლევან პაპიძე რესპუბლიკის დამსახურებული ექიმია. იგი პოლონელი მეგობრების წერილებსაც ხშირად იღებს და ვალოდიას ბარათებსაც. ამასწინათ ლონგინოზი წერდა, შვილიშვილი შემეძინაო. ახლა ლევანიც პაპაა და ისიც. მათი ოცნება ერთია: — მშვიდობა იყოს ქვეყანაზე, რომ შთამომავლებმა მხოლოდ ისტორიიდან იცოდნენ რა არის ომი.

ვალერიან ჩაკურიშვილი

ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნაწარმოებების განხილვა

ამ დღეებში, მოსკოვში გაიმართა სსრკ კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოს მორიგი სხდომა. სხდომა მიეძღვნა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებთა განხილვას. სამდივნოს სხდომაზე ძირითადად მოისმინეს ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები: ნ. გაბუნიას „სამი ილუსტრაცია სულხან-საბას იგავებისათვის“ (მთხრობელის, სამი სოლისტისა და ინსტრუმენტული ანსამბლისათვის), გ. ყანჩელის „ლარგო და ალეგრო“ (სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და დასარტყამისათვის) და ნ. მამისაშვილის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

ნაწარმოებთა მოსმენის შემდეგ გაიმართა მეტად საინტერესო კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ტ. ხრენიკოვმა, დ. შოსტაკოვიჩმა, რ. შჩედრინმა, ა. ეშპაიმ, რ. ლედენევმა და სხვებმა. ორატორებმა მოსმენილი ნაწარმოებების კონკრეტულ ანალიზთან ერთად, ილაპარაკეს თანამედროვე მუსიკის პრობლემებზე, მის სხვადასხვა მიმართულებებზე, სტილისა და გამოსახვის საშუალებებზე.

საბჭოთა მწერლები ზანზიბარში

ლენინგრადი [illegible] საბჭოთა მწერალი ს. [illegible] და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. ნონეშვილი ზანზიბარს ეწვივნენ. საბჭოთა მწერლები მოგზაურობდნენ [illegible] ადგილობრივი თეატრის მსახიობებთან იმ მიზნით, რომ მეგობრული კონტაქტები დაამყარონ თავიანთ თეატრალ კოლეგებთან. კუნძულზე ხანმოკლე ყოფნის შემდეგ, ისინი დარ-ეს-სალამში გაემგზავრნენ.

მიხეილ კაკიტელაშვილი

ტალღები ისმენენ

ტალღები, ხმაურით მომსკდარი ნაპირებს,
ლოდებზე იმსხვრევა და უკან ბრუნდება;
მე ახლა შორეულ მგზავრობას ვაპირებ
და ლაღი ფიქრები მეხვევა გუნდებად.

სინათლის სხივები ფანტავენ უკუნეთს,
ვცოცხლობ და ათასი სიცოცხლე მინდება;
ეს ჩემი ჩონგური, ტკბილად რომ ღუღუნებს,
ხალხს ემსახურება და შრომის დიდებას.

ხალისით შევყურებ ცისკარის გაღებას,
გული კვლავ იმედის და არა ლოდება.
ზღვა ღელავს, ო, თითქო ლექსების ტალღებად
დაიძრა, მოდის და ჩემს ხელში გროვდება.

ოცნება მიტაცებს... და თითქოს ვმაღლდები,
თითქოს მეც ზვირთი ვარ და ვეღარ ვისვენებ;
მშფოთვარე ზღვის მკერდზე ამგვარად ტალღები
და დიდი სიცოცხლის სიმღერებს ისმენენ.

თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენის ექსპონატებიდან



კინოსურათ „მაგდანას ლურჯას" ესკიზი. მხატვარი ა. ხუციშვილი.

ამირან ახობაძე

შენი ხმა მესმის

სადაც კი მივალ, შენი ხმა მესმის,
მთიდან მოვარდნილ მდინარის მსგავსად
შენ ამ მიწაში გიდგია ფესვი,
შენ ამ მიწიდან არ წახვალ არსად.

ვგრძნობ ახლა მთელი არსებით იწვი,
დიდი სიმღერით მოარღვევ სივრცეს,
რაც გაბადია, მე ასე ვიცი,
სიცოცხლეს და სიყვარულს მისცემ.

წლები და გზები მრავალჯერ დაგცდის,
წარბს ვერ შეგკრავს თოვა და თქეში,
ლამაზი ფიქრით, საქმით და განცდით
ქართულ ვაზივით მიშენდი ჩემში.

მოვდევარ ჩემი ცეცხლით და გარჯით,
როგორც ზღვისაკენ [illegible] წყარო,
მე ვეწაფები ყველა შენს ნაბიჯს
და შენს ბუნებას ბავშვივით [illegible].

„თურქული ქრესტომათია"

გამომცემლობა „განათლებამ" გამოსცა პროფ. სერგი ჯიქიას „თურქული ქრესტომათია", რომელიც თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის თურქულ ენაზე საკითხავი წიგნის გამოცემის პირველი ცდაა. ამ წიგნით თურქული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელთ, დაინტერესებულთ საშუალება მიეცათ თურქულად წაიკითხონ დიდი გემოვნებით შერჩეული ლიტერატურა.

თურქული ქრესტომათია დიდად გაუადვილებს შრომას თურქული ენისა და ლიტერატურის ლექტორებსა და მასწავლებლებს.

პროფ. ს. ჯიქიას მიერ შედგენილი „თურქული ქრესტომათია" (ნაკვეთი I და II) ექვსი განყოფილებისაგან შედგება. პირველი განყოფილება შეიცავს თურქული ფოლკლორის ნიმუშებს: ანდაზებს, გამოცანებს, ხალხურ ლექსებს, ზღაპრებს, ანეკდოტებს. მდიდარი და მრავალფეროვანი თურქული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან წიგნის შემდგენელს მხოლოდ უაღრესად ტიპიური ნიმუშები შეურჩევია.

წიგნის მეორე განყოფილებაში წარმოდგენილია იგავ-არაკები, რომლებიც საინტერესო სიუჟეტებზეა აგებული და გამოირჩევა სადა ხალხური ენით.

ქრესტომათიის მესამე განყოფილება დათმობილი აქვს ოცდაათიანი წლების თურქული პრესის ახალ ამბებს. მეოთხე განყოფილებაში მოთავსებულია თურქული ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი ცნობები თურქეთის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების შესახებ. აქ წარმოდგენილი ცნობები ეხება თურქ საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების ცხოვრების ცალკეულ ეტაპებსა და მათ შემოქმედებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სტატია, რომელიც ეძღვნება მე-13 საუკუნის ცნობილი თურქი პოეტის იუნუს ემრეს ხსოვნას, პროფ. მ. კოფრულუს სტატია მე-17 საუკუნის თვალსაჩინო ისტორიოგრაფის ქათიბ ჩელების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მე-19 საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ცნობილი თურქი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ჰალიდ ზია უშაკლიგილისა და ზია გოქ ალფის ბიოგრაფიული ცნობები, თურქული ეროვნული ნოველის ფუძემდებლის ომერ სეიფედინის დღიური და მისი მეგობრის, მწერალ ალი ჯანიბის მოგონებები სეიფედინის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების შესახებ.

ამავე განყოფილებაში წარმოდგენილია წერილები გაზეთებიდან, რომლებშიც ასახულია ბრძოლა ახალი თურქული სალიტერატურო ენისათვის, ახალი ანბანის დამკვიდრებისათვის.

მოცულობით ყველაზე დიდია მეხუთე განყოფილება, ამ განყოფილებაში თურქული მხატვრული ლიტერატურაა წარმოდგენილი. ტექსტები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. წიგნში შესული ნაწარმოებები საინტერესოა არა მხოლოდ როგორც საკითხავი მასალა თურქული ენის შესწავლისათვის, არამედ როგორც თვალსაჩინო ნიმუში პროგრესული თურქული ლიტერატურისა. შერჩეული ნაწარმოებები მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსებებით ხასიათდებიან.

ქრესტომათიის შემდგენელს იშვიათი ლიტერატურული გემოვნებით შეურჩევია საკმაოდ მდიდარი თურქული მხატვრული ლიტერატურიდან ესა თუ ის ავტორი. მას არ გამორჩენია არცერთი მეტნაკლებად ცნობილი თურქი მწერალი თუ პოეტი. აქ ვხვდებით თურქი მწერლის მეჰმედ ნაჯის პოპულარულ მოთხრობას „ომარის ბავშვობას". წიგნში დაბეჭდილია თურქული ეროვნული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლების მეჰმედ ემინისა და ჰუსეინ რაჰმის მოთხრობები. მე-19 საუკუნის თურქული პროზის უდიდესი წარმომადგენლის, მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატის რეშად ნურის ნაწარმოებებიდან ქრესტომათიაში შეტანილია რამდენიმე ნაწყვეტი პოპულარული რომანიდან „ნარჩიტა" და ფსიქოლოგიური მოთხრობა „ერთი ძველი წყალი". ცნობილი თურქი მწერალი იაკუბ კადრი წიგნში წარმოდგენილია პირველი მსოფლიო ომის თემაზე დაწერილი ორი მოთხრობით, რომლებშიც თურქი ხალხის ღრმა პატრიოტიზმი იგრძნობა. თურქი ხალხისა და სამშობლოს დიდი სიყვარული ამოძრავებდა პროგრესულ თურქ მწერალს საბაჰათინ ალის, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული თურქულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ჩასახვა. წიგნში შეტანილია საბაჰათინ ალის მოთხრობები: „ორი ცოლი", „ბროლის კოშკი", „ცხელი წყალი" და სხვები.

ქრესტომათიაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი უახლეს პროგრესულ თურქულ მწერლობას. საიდ ფაიკის, სამიმ კოჯაგიოზის, ორჰან ქემალის, ჯევდეთ კუდრეთის, ორჰან ჰანჩერლიოღლუს, ბურჰან ჯაჰითის, სუად დერვიშისა და უმიდ-ბელის ნაწარმოებებთ გვერდით დაბეჭდილია თანამედროვე თურქეთის თვალსაჩინო სატირიკოსის აზიზ ნესინის სატირულ-იუმორისტული მოთხრობები, რომლებიც აგებული სინამდვილის მძაფრი კრიტიკით გამოირჩევიან. ქრესტომათიაში დაბეჭდილია აზიზ ნესინის ემახასიათებელი ნაწარმოებები: „საფრთხეზე გიჟია", „როგორ დაიჭირეს „ჩამდე სპილო"", „შენი წყალობით ვარ ბედნიერი" და „ქალბატონი მამიშე".

პოეტური ნაწარმოებებიდან შერჩეულია მხოლოდ ისინი, რომლებიც ფორმითაც და შინაარსითაც თურქულ ეროვნულ ხასიათს ატარებენ. ესენია იუნუს ემრეს, აბდულჰაკ ჰამიდის, ფარუკ ნაფიზის, თევფიქ ფიქრეთის, მეჰმედ ემინის, ორჰან სეიფის, ნაზიმ ჰიქმეთის, ორჰან ველისა და სხვათა რჩეული ლექსები და პოემები.

ქრესტომათიის მეექვსე და უკანასკნელ განყოფილებაში მოთავსებულია ტექსტები, რომლებიც თურქეთისა და საქართველოს ისტორიას ეხება. აქ არის თურქი ისტორიკოსების ცნობები ფეოდალური საქართველოს შესახებ, რაც განსაკუთრებით იპყრობს ჩვენი მკითხველის ყურადღებას.

„თურქული ქრესტომათია" მნიშვნელოვანი შენაძენია არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის თურქოლოგებისათვის, არამედ მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების აღმოსავლეთმცოდნეო ცენტრებში მომუშავეთათვისაც. სწორედ ამის გამო წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, ერევანში, ლონდონში და სხვა ქალაქებში მომუშავე თურქოლოგებისა, ისინი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ წიგნს და დიდ მადლობას უძღვნიან წიგნის შემდგენელს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ სერგი ჯიქიას ამ დიდი შრომისათვის, რაც მან ამ შესანიშნავი ქრესტომათიის შედგენისათვის გასწია.

ირინე გოცირიძე

ბერიკაცი

მამლებმა ფრთა ფრთას შემოჰკრეს, კისერი წაიგრძელეს და სოფელშიც გაიღვიძა. გაიღვიძა განთიადის წინ მიძინებულმა ყვირილამაც. სიომ დაიქროლა, ვაზები შეარხია, მტევნებმა გაიღიმეს: წვეთებად ქცეული ნამი ჩუმი ხმაურით მოწყდა ფოთლებს.

ბერიკაცმა სახლიდან ფრთხილად წამოყო თავი და მკრთალად განათებული ოთახის კუთხისაკენ გაიხედა. მეუღლეს ეძინა, ფრთხილად წამოდგა. ფეხაკრეფით გავიდა აივანზე. ცას შეხედა. ჰორიზონტს უკვე ცეცხლი მოსდებოდა, მოხუცმა პირი დაიბანა და დაცვარული ვენახისაკენ გაეშურა. სიყვარულით შესცქეროდა მწიფე მტევნებს, შემდეგ ერთი მტევანი მოწყვიტა, ერთი კიტი აიღო, მერე მკლავები აიკაპიწა და სარეველა ბალახებს დაერია.

დაღლილ-დაქანცული დაბრუნდა ეზოში, თალარის ქვეშ მერხზე ჩამოჯდა, გულის ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა და კვლავ უბეში ჩაიდო.

— მიხა მოსამბილო, გუშინ არ გაგელია ვენახში, ყურძენი უკვე მწიფდება და საშიშია არაფერმა გაფუჭოს, თვალყურის დევნება უნდა, შენ კი...— გამოსძახა ამ დროს ოდა-სახლის წინ მდგომმა ქალმა, აქაფებული რძით სავსე ქოთანი რომ ეჭირა ხელში.

— ელისაბედ ჩემო, — მშვიდად მიუგო მოხუცმა, — ნახევარ საათში თბილისის მატარებელი ჩამოვლის და მერე წავალ, — გაიღიმა, ეშმაკურად გაიღიმა, რადგან ეს-ეს არის სწორედ ვენახიდან დაბრუნდა.

ქალმა განაგრძო:

—მეათე წელია პენსიაზე ხარ, რკინიგზაზე აღარ მუშაობ და თითქმის ყველა მატარებელს აცილებ, რათ, საქმე არა გაქვს? თუ? შენი გრაფიკიდან ზოგიერთი მატარებელი ამოიღე და მაშინ იმდენ მოსავალს მოვიწევთ, რომ ბარე რამდენიმე ოჯახსაც ეყოს.

— ელისაბედ, ელისაბედ, ეს როგორ შეიძლება! მთავრობამ პენსია დამინიშნა და მითხრა: მიხეილ კაპანაძევ, 46 წელი ემსახურე რკინიგზას პატიოსნად და ერთგულად, ახლა გინიშნავ პენსიას, დაისვენეო... მაგრამ რა გაძალებინებს ისე, რომ ლიანდაგს არ დავხედო, ხომ არ არის რაიმე გაფუჭებული, რაიმე ხიფათი რომ მოხდეს ჩვენს მხარეს, მაშინ...

— მოიცა, თუ ღმერთი გწამს, არაფერიც არ მოხდება. რა უნდა მოხდეს?

• • •

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი, ძლემებითა და ცხენებით, ურმებითა და სახედრებით ეზიდებოდნენ მარგანეცს. 15 წლის მიხეილი ჩალვადარებს გაჰყვა, 20 ვერსი გაიარა ფეხით და ზესტაფონში პირველად ნახა მატარებელი.

— ეს იმ დროს საოცრება იყო, — იგონებს ხოლმე მოხუცი რკინიგზელი, — ცეცხლმფრქვევი მანქანა ოხრავდა, ქშინავდა, საკვამლე მილიდან ნაპერწკლებს ისროდა და დიდი ჰაპანწყვეტით მიაგორებდა ორიოდე ვაგონს. ორთქლმავალიც პატარა იყო მაშინ, „ფერელა ორთქლმავალს" ეძახდნენ. ცივად კიოდა. შიშმა აიტანა, მემანქანე კი იცინოდა და იცინოდა. იგი ღმერთკაცი მეგონა. მაშინ გადავწყვიტე რკინიგზაზე მემსახურა და ყოველდღიურად მეცქირა ამ სასწაულებრივი მანქანისათვის.

მიხეილმა ნატვრა აისრულა—1907 წელს დაამთავრა თუ არა ბოსლევის ორკლასიანი სასწავლებელი, ჯულფის რკინიგზის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. 1909 წელს იქვე იქნა გადაყვანილი რკინიგზის სადგურში ტელეგრაფისტად, იქიდან — სადგურ დუეზში, ბოსლევში, სახზერში, გომში, გორაში. 1926 წლიდან სადგურის მორიგედ მუშაობდა მეხიანში, ხოლო 1930 წელს თავის მშობლიურ სოფელ ბოსლევში სადგურის უფროსის თანაშემწედ დანიშნეს. 1933 წლიდან კი სადგურის უფროსი იყო. აქ იმუშავა 1953 წლამდე და ღვაწლმოსილი რკინიგზელი პენსიაში გავიდა.

კარგად ახსოვს მიხეილს, როცა მდინარე ყვირილის ხეობაში ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი რკინიგზა და ზემოიმერეთის სოფლები ზესტაფონს საურმე გზით უკავშირდებოდა. ამ საუკუნის დასაწყისში ვიწროლიანდაგიანი ხაზი გაიყვანეს და ყვირილის ხეობა ორთქლმავლის ხმაურმა გამოაღვიძა. მიხეილს ისიც ახსოვს, რომ როცა ამერიკელმა მრეწველმა ჰარიმანმა ჭიათურის მარგანეცის კონცესია აიღო, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ფართოლიანდაგიანით შეცვლა იკისრა, მაგრამ მკვეხარამ თავისი დანაპირები ვერ შეასრულა და კუდამოძუებული გაიქცა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო ფართოლიანდაგიანი ელექტროფიცირებული რკინიგზის ხაზის გაყვანა და დაიწყო თუ არა მშენებლობისათვის სამზადისი, მიხეილი თავის მეუღლეს, ელისაბედს მოეთათბირა:

— ელისაბედ, ხომ ხედავ, ფართოლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობა დაიწყო. ბოსლევში ხაზი მდინარის მარცხენა მხარეზე გაივლის. რკინიგზის სადგური აქ აღარ იქნება. მე კი მინდა, ყოველდღე მატარებელს ვუცქირო. მოვხუცდი, დროა პენსიაზე გავიდე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მატარებელი ჩვენგან შორს გაივლის. ვერ გავძლებ, მატარებელს ყოველდღე რომ არ შევავლო თვალი.

— ეგ საქმე მე მომანდე, ჩემო მიხა, — მიუგო ელისაბედმა და „თათბირიც" ამით დამთავრდა.

მომავალი რკინიგზის ხაზის ახლოს, ორმოციოდე მეტრის დაცილებით, კოლმეურნეობამ მიხეილს საკარმიდამო ნაკვეთი გამოუყო. მიხეილი ოდა-სახლის მშენებლობასა და ეზოს კეთილმოწყობას შეუდგა. მერე პენსიაზე გავიდა, მაგრამ, როგორც ის ადრე ფიქრობდა, მოწყენილობა არ უგრძვნია შრომით ფერხულში ჩაბმულს. იგი ყოველ დილით დიდი სიხარულითა და ხალისით მუშაობს საკოლმეურნეო თუ საკარმიდამო ნაკვეთში.

მიხეილი ყოველდღიურად ვენახში ტრიალებს, ამიტომ მისი ვენახი ყოველთვის კარგად ისხამს, მოსავალს კარგი პირი უჩანს. ჭიგოები სავსე მტევნებს ვეღარ იმაგრებენ.

თბილისიდან მომავალმა მატარებელმა გუგუნით ჩაიქროლა. ღიმილმორეული ბერიკაცი მატარებელს მანამდე გაჰყურებდა, სანამ იგი თვალს არ მიეფარა.

ბორის მირცხულავა

ილია ხოშტარია

* * *

შემომცქეროდი მთელი არსებით,
[illegible] გაუხსნელობით,
[illegible] შენი ალერსით
[illegible]

არა, არ მითქვამს მე საყვედური,
ქალურ მორცხვობას მუდამ
ვეტრფოდი,
არც დღე გვქონია ჩვენ უბედური,
სასიხარულოს, — მხურვალდ ვეტყოდი.

მზე და სიმღერა შენ შემაყვარე,
შენ მათქმევინე ეს ლექსიც მცირე,
ახალგაზრდული გული მშფოთვარე
მე ხომ მთლიანად შენ შემოგწირე.

ცა ცისარტყელით გადაიქარგა,
ვეღარ გივიწყებ, რაც უნდ მომძიმდეს,
სად წავიდა, სად დაიკარგა
ის საოცნებო დღეთა სიწმინდე.

ჩუმ წყაროსავით, გთხოვ ილივლივე,
ეგების გული კვლავ დამიამო,
მოდი, სიცოცხლე გამიხანგრძლივე,
სულით მაღალო ადამიანო.

რევოლუციური თანამეგობრობა

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ რუსულ და პოლონურ ენებზე გამოსცა მასალებისა და დოკუმენტების ორტომეული, რომელიც ასახავს პოლონეთის 1863 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით რუსეთ-პოლონეთის პროგრესული წრეების რევოლუციურ თანამეგობრობას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ორტომეული, რომელიც 641 დოკუმენტს შეიცავს, შედგენილია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სლავიანთმცოდნეობის ინსტიტუტის, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს მეცნიერთა კოლექტივის მონაწილეობით.

დოკუმენტების პუბლიკაცია განსაკუთრებით ძვირფასი ჩვენთვის იმით არის, რომ მასში გარკვეული ადგილი უჭირავს კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის საკითხებს.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან როგორც ციმბირში, ისე კავკასიაში თავი მოიყარეს გადმოსახლებულმა დეკაბრისტებმა და პოლონელმა რევოლუციონერებმა, რომელთაც კავკასიის, კერძოდ, საქართველოს მოწინავე წრეები მეგობრულად თანაუგრძნობდნენ. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ საბუთებში დასახელებულია კავკასია, საქართველო და ქართველი რევოლუციონერები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ რუს და პოლონელ რევოლუციონერთა კავშირში. ამას დამაჯერებლად ადასტურებს ორტომეული, რომელშიც შეტანილია 1853 წლის 15 მაისს პოლონელი ემიგრანტების დემოკრატიული საზოგადოების ორგანოს გაზეთ „დემოკრატა პოლსკა"-ში დაბეჭდილი სტატია. ის შეეხება ლონდონში თავისუფალ რუსულ და პოლონურ სტამბების შექმნას.

საბუთიდან ჩანს, რომ პოლონელები ციმბირში ახლო მეგობრულ ურთიერთობაში ყოფილან რუსი ხალხის მოწინავე დემოკრატიულ-რევოლუციურ წრეებთან. ასეთივე მდგომარეობა იყო კავკასიაში და საქართველოში.

„1862 წლის 5 (17) ნოემბერს მ. ბაკუნინი ი. კისელოვსკისადმი გაგზავნილ წერილში მოითხოვდა პოლონეთში მყოფ ოფიცერთა საიდუმლო რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოშვებული მოწოდების გავრცელებას ოდესაში, ყირიმში, კავკასიაში და აგრეთვე დონზე"... (ტ. 1., გვ. 21).

„1862 წლის 11(23) ნოემბრით დათარიღებულ წერილში მ. ბაკუნინი კისელოვსკის აუწყებდა კონსტანტინეპოლში წიგნებისა და ჟურნალების საწყობის მოწყობას, რომ იქიდან მოხერხებულიყო მათი გაგზავნა ოდესაში და კავკასიაში პროპაგანდის გასაწევად" (იქვე).

1862 წლის 1 ოქტომბერს გაზ. „კოლოკოლის" № 146-ში გამოქვეყნდა ვარშავაში არსებული პოლონეთის სახალხო ცენტრალური კომიტეტის წერილი, რომელშიც პოლონეთის სახალხო რევოლუციური მოძრაობის მთავარ ამოცანად გლეხთა განთავისუფლება და პოლონეთის დამოუკიდებლობა იყო აღიარებული. პოლონელი რევოლუციონერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსეთ-პოლონეთის ხალხთა საბრძოლო კავშირის განმტკიცებას. დასახელებულ წერილთან დაკავშირებით პოლონეთის სახალხო ცენტრალური კომიტეტის წევრი აგატონ გილერი 1877 წ. 13 (1) მარტს ი. კრაშევსკისადმი გაგზავნილ წერილში ეხებოდა რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში და, მათ შორის, კავკასიაში არსებულ „მიწა და თავისუფლების" ორგანიზაციის ფილიალებში გაერთიანებულ რუს და პოლონელ რევოლუციონერთა კავშირს და მიუთითებდა იმ დიდ როლზე, რაც გერცენმა და ოგარიოვმა ამ კავშირის განმტკიცებაში შეასრულეს. რუსეთსა და პოლონეთში რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით, გერცენი ბაკუნინის შესახებ წერდა: „...ბაკუნინი აღტაცებული ხედავდა „მიწა და თავისუფლების" ორგანიზაციის მიერ ურალში, ვოლგისპირეთში, უკრაინაში და კავკასიაში წითელი დროშის აღმართვის ფაქტს" (ტ. 1, გვ. 532).

პოლონელი ხალხის 1863 წლის აჯანყების დროს ა. გერცენი რუსეთის არმიის ოფიცრებისადმი გაგზავნილ მიმართვაში რჩევას იძლეოდა, რომ ისინი დაახლოებოდნენ ჯარისკაცებს და პოლონეთის სასარგებლოდ გაეწიათ აგიტაცია. ამავე საბუთის კომენტარში აღნიშნულია, რომ ამგვარი ფაქტები ყოფილა პეტერბურგში, პოლონეთში, რუსეთის სამხრეთ რაიონებში და კავკასიაში... „სადაც ჯარისკაცებთან ასეთი საუბრისათვის მეფის ბრძანებით გასროლილი ტყვიით დაცემულან ოფიცრები არნჰოლტი და სლივიცკი... ვინ მოითვლის კიდევ რამდენი ოფიცერი იქნა პასუხისგებაში მიცემული და დაჭერილი" (იქვე).

გარდა ზემოაღნიშნულისა, საყურადღებოა ორტომეულში შეტანილი ის მასალები და დოკუმენტები, რომლებიც გვაცნობს რუს და პოლონელ რევოლუციონერთა კავშირში პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველი სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას.

ამასთან დაკავშირებით საგანგებო ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დასახელებული პუბლიკაციის 1 ტომში გამოქვეყნებულია რუს და პოლონელ რევოლუციონერთა ჯგუფის ფოტოსურათი, სადაც არის გამოჩენილი სამოციანელი ბესარიონ იოანეს ძე ღოღობერიძე. აქვე, ამ ჯგუფშია მოწინავე პოლონელი რევოლუციონერი სტუდენტი ვლადისლავ ხორშევსკი, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე პოლონელი სტუდენტების სათვისტომოს მეთაურობდა. მისი ინიციატივით ქართველი და პოლონელი სტუდენტების სათვისტომოებს შორის რევოლუციური კავშირი დამყარებულა. აღნიშნული ფაქტი ჭრილადაც აქვს აღწერილი სახელოვან ქართველ მწერალს გ. წერეთელს თავის ცნობილ მოთხრობაში „ჩიკოლაი, კიკოლაი და კუდაბზიკა", რომელშიც ვლ. ხორშევსკი „ხ-სკი"-ს სახელით არის მოხსენიებული. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ბ. ღოღობერიძე რუს და პოლონელ სტუდენტთა ჯგუფშია გადაღებული (ტ. 1, გვ. 57).

ამავე ტომის ერთ-ერთ საბუთში, რომელიც III განყოფილების მიერ შედგენილ რევოლუციონერთა სიას წარმოადგენს, ბ. ღოღობერიძის შესახებ აღნიშნულია, რომ „მან დაუმთავრებია პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსი, მონაწილეობა მიუღია სტუდენტთა არეულობაში და დანაშაულებრივ კავშირში იმყოფება ჩერნიშევსკისთან. დიდი ეჭვი გვაქვს, რომ მისი მონაწილეობით დაიბეჭდა მოწოდება პავლოვის დასაცავად და აგრეთვე სხვა მოწოდებებიც" (ტ. I, გვ. 147).

აღნიშნულ საბუთში ბ. ღოღობერიძე, როგორც მოწინავე რევოლუციონერი, რუსეთის სხვა ხელმძღვანელ რევოლუციონერებთან ერთად არის მოხსენებული. ამავე დროის დოკუმენტებში (1 ტომში, გვ. 150) ცალკეა გამოქვეყნებული ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ბ. ღოღობერიძის სურათი. ზემოაღნიშნულის გარდა საბუთებში, როგორც აქტიური რევოლუციონერი, მოხსენიებულია ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის თანამშრომელი სერგო თუმანიშვილი, რომელსაც 1862 წელს დაუმთავრებია პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსი.

საბუთში ვკითხულობთ: „...სერგო თუმანიშვილს 1860 წლის დასაწყისში მონაწილეობა მიუღია პეტერბურგის სტუდენტ ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში. ვარშავაში მთავარ კონსტანტინე ნიკოლოზის ძეზე მოწყობილი თავდასხმის გამო, ს. თუმანიშვილს სტუდენტ ვ. ფეოდოროვისადმი გაგზავნილ ბარათში მიუწერია: „სამწუხაროდ კონსტანტინს ისე კარგად ვერ მოახვედრეს, როგორც საჭირო იყო" (ტ. II, გვ. 122). მეორე საბუთში, რომელიც 1863 წელს პეტერბურგში № 1 პროკლამაცია „თავისუფლების" გავრცელებასთან დაკავშირებით დაპატიმრებული სტუდენტის ჯ. ჯ. სურკენოვის საქმის გამო შედგენილი იქნა, „ბრალდებულის" ნაცნობებს შორის დასახელებულია სტუდენტი სერგო თუმანიშვილი. ორტომეულის მასალებში და დოკუმენტებში, რუს და პოლონელ სტუდენტებთან ერთად, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მოძრაობაში, მოხსენიებული არიან დავით და ნიკოლოზ ღოღობერიძეები (ტ. II, გვ. 572).

ორტომეულში შეტანილი დოკუმენტები საჭირო ძვირფას და უტყუარ მასალებს შეიცავს რუს, ქართველ და პოლონელ რევოლუციონერთა ერთობლივი პრაქტიკული რევოლუციური მოღვაწეობის კიდევ უფრო ღრმად შესწავლისათვის.

ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

გივი ჯოხაძე

ტელეფონი

ესკიზი

ოთახი ცარიელი არ არის. იგი პატარაა, მაგრამ მაინც თავსდება სამი მაგიდა, პალტოების დასაკიდი და რამდენიმე სკამი. ჰო, კინაღამ გამომრჩა, ტელეფონი — პატარა, ძალიან პატარა მაგიდაზე... დანარჩენებზე აწყვია სამელნეები, კალმისტრები...

ოთახი ცარიელი არ არის. ერთი ერთ მაგიდას მისჯდომია, მეორე კი — მეორე მაგიდას.

არავითარი ხმაური. მხოლოდ კალმის ჩუმი წრიპინი ქაღალდზე! მერე ქაღალდის შარიშური და, და მეტი არაფერი. მხოლოდ ქაღალდი ვარდება მაგიდის გვერდით მდგარ საქაღალდე კალათში.

და ისევ სიჩუმე, ისევ ქაღალდზე კალმის წრიპინი.

ოთახში ორნი არიან. მაინც სიჩუმეა. მაგრამ სიჩუმე არ არის სამარისებური.

ბუზი რომ გაფრინდეს, მის ხმას მაინც გაიგონებ.

ისმის კიდევ გულის უცხო, გაუბედავი ბუბუნი.

ამდენ ხანს სიჩუმე მეტისმეტად უხერხულია. უნდა დაირღვეს. რომელმა გაბედოს? — ორივეს უჭირს.

— კარგი ამინდია, — ამბობს ერთი.

— კი, — უპასუხებს მეორე.

მერე ორივე ჩუმდება, ორივე რაღაცას ჯღაბნის ქაღალდზე.

მერე ორივემ ერთდროულად შეხედა ერთმანეთს. თვალი თვალს მოხვდა. ორივეს სახეზე სიწითლემ და ღიმილმა გადაურბინა.

თვალები დახარეს.

— მართლაც რომ კარგი ამინდია. — ამბობს ერთი.

— კი, — უპასუხებს მეორე.

ოთახში თავის ადგილზეა მაგიდები, პალტოების ჩამოსაკიდებელი... მაგიდებზე სამელნეებიც ისევ იმ ადგილას აწყვია. მხოლოდ კალმები ხრიალებს ქაღალდზე. ისინი მიადგებიან ერთ ნაპირს, მერე მეორე ნაპირზე გადიან, მერე ისევ ასე, მერე ისევ...

უცებ სიჩუმე ირღვევა. ტელეფონი წკრიალებს.

ერთი იღებს ყურმილს: — კი, კი, არა, არა, კი, რას ამბობ? არა, არა, კარგი, კარგი, აუცილებლად, კარგი. — და სდებს ყურმილს.

ისევ სიჩუმეა. მაგრამ იგი სამარისებური არ არის.

მეორის გულში რაღაც უცხო გუგუნი ჩამდგარა.

— ვინ იყო?

— ამხანაგი.

— კარგი ამინდია მართლაც!

— კი.

ოთახში სიჩუმეა. ყველაფერი თავის ადგილზეა, თუმცა ერთის გული არ უნდა იყოს თავის ადგილზე.

ძალიან უხერხულია ასეთი სიჩუმე. უნდა დაირღვეს.

უნდა დაირღვეს?

ირღვევა.

— ხომ არ გავიაროთ სადმე? — ეკითხება ერთი.

მეორემ ჩაიცინა.

— არა, არა მცალია, სხვა დროს.

მეორეს გული დასწყდა.

ისევ ჩუმად [illegible]. ყველაფერი თავის ადგილზეა. შეხედა თავის მეზობელს. მისი ხელი ქაღალდზე კალამს ასრიალებს.

მერე თვალები ტელეფონს მოხვდა.

რა უცნაურია მართლაც ეს ტელეფონი: ვიღაც, სადღაც რაღაცას ლაპარაკობს და აქ სხვა უპასუხებს: — კი, კი, არა, არა, არა, კი... რას ამბობ? არა, არა, კარგი, კარგი, აუცილებლად, კარგი".

— ჰო, მაგრამ, რას ელაპარაკებოდა იქიდან, რაზე უპასუხებდა ასე, ვინ იყო? — ფიქრობს იგი.

ის კი ზის და ჩქარ-ჩქარა დაარბენინებს კალამს ქაღალდზე.

— ვინ იყო, ვინ გირეკავდა?

— ამხანაგი.

— რაო, რა უნდოდა?

ჩაიცინა.

— რაღაც საქმე მქონდა.

ძალიან ცუდია ეს ტელეფონი. ორი ლაპარაკობს და მესამეს არ ესმის რაზე ლაპარაკობენ.

მერე ისევ რაღაცას წერს ქაღალდზე, მერე კი უცნაურ მონახაზებს აკეთებს.

სიჩუმეა, თუმც სამარისებური არ არის, მაგრამ მაინც სიჩუმეა.

ყველაფერი თავის ადგილზეა — მაგიდები, პალტოს ჩამოსაკიდებელი, სკამები, მაგიდებზე სამელნეები. ტელეფონიც აღარ წკრიალებს.

სიჩუმე გრძელდება.

თუმც ოთახში არიან ორნი.

ის ერთი ქალია.

ის მეორე კი...

მერე ოთახის კარი იღება. კარში გაბრწყინებული სახით ახალგაზრდა დგას.

— შეიძლება?

— მობრძანდით, — უპასუხებს ერთი და ელიმება. მეორე კი მათ მოლიმარ სახეებს მისჩერებია. ახალგაზრდამ ისე ჩაუარა, რომ არც კი შეხედა.

— ხომ არ დაიგვიანე? — კითხულობს მოსული.

— არა, როგორც მითხარი, ისე მოხვედი. — უპასუხებს დამხვედრი.

— კარგი ამინდია. წავიდეთ სადმე, გავიაროთ.

— წავიდეთ.

ოთახში აღარ არის სიჩუმე. ყველაფერი შეიცვალა. თითქოს მაგიდები გადაადგილდნენ. პალტოების ჩამოსაკიდებელი შემსუბუქდა. ტელეფონი რაღაც არაჩვეულებრივად საზარელი შესახედავი გახდა. ქაღალდებზე აღარ წრიპინებენ კალმები. ოთახშიც ერთი დარჩა.

აქამდე კი ყველაფერი კარგი იყო. სიჩუმეც, უხერხული სიჩუმე, კალმის წრიპინიც. და ყველა სკამიც და სამელნეც.

იქ ორნი ისხდნენ: ერთი ერთ მაგიდასთან, მეორე — მეორესთან.

ივანე გომართელი

დაბადების 90 წლისთავის გამო

საქართველოს ყველა კუთხეში იცნობდნენ ივანე გომართელს, ამ სახელგანთქმულ ექიმს, მწერალსა და პუბლიცისტს.

ივანე გომართელი დაიბადა 1875 წელს ზემო იმერეთში, სოფელ გორისაში. პატარა ივანე მისმა მამამ გედეონმა თბილისში ჩამოიყვანა სასწავლებლად. მან 1894 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია, მოსკოვში გაემგზავრა და მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა.

ი. გომართელი ბავშვობიდანვე იყო გატაცებული ლიტერატურით. იგი მოსკოვში სწავლის დროსვე ხდება ჟურნალ „ჯეჯილის" უახლოესი თანამშრომელი, აქვეყნებს ლექსებს, მოთხრობებს, წერილებს მედიცინის, ბუნებისმეტყველების, ისტორიის საკითხებზე. 1898 წელს გამოქვეყნდა ი. გომართელის საბავშვო ნაწარმოებების წიგნი „ხტუნია ციყვუნია". შემდგომ წელს დაიბეჭდა მისი „ისტორია აღმოსავლეთისა".

1897 წლის შემოდგომაზე მოსკოვში ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წრეში, რომელსაც ალ. ხახანაშვილი ხელმძღვანელობდა, ალ. წულუკიძემ წაიკითხა რეფერატი „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში". ამ რეფერატის გავლენით ივ. გომართელმა დაწერა თავისი პირველი ვრცელი კრიტიკული წერილი „თხზულებანი მამია გურიელისა", რომელიც 1897 წელს ამავე წრეში წაიკითხა, ხოლო 1898 წელს „კვალში" გამოაქვეყნა. ამავე პერიოდში გამოქვეყნდა მისი კრიტიკული წერილები და რეცენზიები ან. წერეთლის, დ. კლდიაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ილ. ალხაზიშვილის ნაწარმოებებზე.

ივ. გომართელმა ქართველ კრიტიკოსებიდან პირველმა მიაქცია ყურადღება ეგ. ნინოშვილის შემოქმედებას და საფუძვლიანად გაარჩია მისი ნაწარმოებები. ე. ნინოშვილზე დაწერილი მისი წერილი 1899 წლის „კვალის" ჩვიდმეტ ნომერში იბეჭდებოდა, ხოლო შემდეგ წინასიტყვაობად დაერთო ეგ. ნინოშვილის თხზულებებს.

ივ. გომართელმა 1899 წლის შემოდგომაზე დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო ბარალეთის სავადმყოფოში ექიმად. 1902 წლის შემოდგომაზე იგი დიდ ჭიათურაში ახლად გახსნილი ქსენონის გამგედ მიიწვიეს, ხოლო 1903 წლის ბოლოს ქუთაისში გადავიდა.

როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ივ. გომართელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, სიტყვით თუ საქმით ემსახურებოდა რევოლუციის იდეებს. იგი „ივერიასა" და „მოგზაურში", ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს გარდა, აქვეყნებდა იმ დროისათვის მწვავე პუბლიცისტურ სტატიებს, აკრიტიკებდა მეფის ბიუროკრატიულ რეჟიმს. ი. გომართელმა 1905 წელსვე გამოაქვეყნა პიესა „კობში", სადაც გმობდა ძველ პარაზიტულ წოდებებს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მათ დამცველ მეფის მთავრობას. მეფის „ოხრანკამ" ივ. გომართელს დევნა დაუწყო. იგი იძულებული გახდა საზღვარგარეთ, ჟენევაში გაქცეულიყო.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ივ. გომართელი თბილისში დაბრუნდა და 1908 წელს მიხ. ჯავახიშვილთან, ნვ. ყიფიანთან, პ. სურგულაძესთან, პ. თუმანიშვილთან ერთად გამოსცა ლიტერატურული კრებული „ნიავი". მაგრამ ამ კრებულმა ვერ იხილა დღის სინათლე. ცენზურამ მაშინვე აკრძალა რევოლუციური იდეებით გამსჭვალული კრებული და მის მთელ ტირაჟს კონფისკაცია უყვეს.

ივ. გომართელი ერთი პირველთაგანია საქართველოში, რომელიც თავის სამეცნიერო წერილებით, მოთხრობებით და პიესებით თითქმის მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე სისტემატურად ილაშქრებდა რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ.

1908 წელს ჟურნალ „ალიონში" (№ 1,2) დაიბეჭდა ივ. გომართელის სტატია „როგორ გააჩინა ადამიანმა ღმერთი", რომელშიც წერდა: „ისტორიამ არ იცის არც ერთი ხანა, როცა სამღვდელოება სინათლის მომხრე და გაჭირვებული ხალხის ჭირისუფალი ყოფილიყოს. რელიგია ამართლებს კლასობრივ ჩაგვრას, იცავს მონობას, ასწავლის მშრომელებს შეეგუონ და შეურიგდნენ სიღატაკეს და გაჭირვებას". წერილს რელიგიის და ეკლესიის წინააღმდეგ დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. ამ წერილისათვის მას სასამართლომ ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო ჟურნალი მაშინვე დახურეს და მისი რედაქტორ-გამომცემელი დიდი თანხით დააჯარიმეს.

ივ. გომართელი სამი ათეული წლის მანძილზე ერთ-ერთ თვალსაჩინო კრიტიკოსად და პუბლიცისტად ითვლებოდა. მისი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური მოღვაწეობა ჯერ კიდევ ცხრაასიანი წლების დასაწყისში ჯეროვნად შეაფასეს ზ. ჭიჭინაძემ, ალ. ხახანაშვილმა და სხვებმა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი, თეორიული სტატიები ხელოვნებაზე და მის ისტორიაზე. მისი ლიტერატურულ-კრიტიკული და თეატრალური წერილები 60-მდე საავტორო თაბახს შეადგენს.

ივ. გომართელმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. მას, როგორც საბავშვო მწერალს, დიდად აფასებდა იაკობ გოგებაშვილი, რომლის დაკვეთითაც 1908 წელს დაწერა მოთხრობა „როგორ მოიპოვეს ვახტანგმა და თამარმა სრული ჯანის სიმრთელე და შეიძინეს განვითარება გონებისა და ზნეობისა". ეს მოთხრობა ი. გოგებაშვილმა 1909 წელს თავის „ბუნების კარის" მეთვრამეტე გამოცემაში შეიტანა და 18 გვერდი დაუთმო.

აღსანიშნავია, რომ დიდი რუსი მწერლის მ. გორკის შესახებ ივ. გომართელმა 1901 წელს პირველმა დაბეჭდა ჩვენს პრესაში კრიტიკული წერილები. მანვე ქართველ მკითხველს პირველმა გააცნო შილერის შემოქმედება. მისი წერილები დიდ გერმანელ პოეტზე 1902 წელს „კვალში" იბეჭდებოდა, ხოლო 1904 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა მისი „შილერის პოეზიის ძირითადი თვისებები".

მენშევიკების ბატონობის პერიოდში ივ. გომართელი ოპოზიციაში ედგა მთავრობას, პავლე საკვარელიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა „ალიონისტების" ჯგუფს.

ივ. გომართელი გულწრფელად მიეგება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. იგი თავის უშრეტ ენერგიას, ცოდნას და გამოცდილებას განთავისუფლებული სამშობლოს კეთილდღეობას ახმარდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლიდანვე ივ. გომართელი პოპულარულ სტატიებს აქვეყნებდა გაზეთ „მიწის მუშაში", წერდა მოთხრობებს გლეხობის ახალ ცხოვრებაზე, ჟურნალ „ახალი გზაში" ათავსებდა ლიტერატურულ-კრიტიკულ და პოლიტიკურ სტატიებს.

ივ. გომართელი გარდაიცვალა 1938 წლის 19 აპრილს გულის უეცარი შეტევით. დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე.

ჯერ კიდევ 1914 წელს „ბათუმის გაზეთი" წერდა: „ივანე გომართელი ჩვენი ცნობილი ლიტერატორია. თავისი მაღლიანი ნიჭის წყალობით მან

ბევრი მშრომელი გაუთვითცნობიერებია, ბევრისათვის აუტოკებია გული უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად".

მართლაც რომ დიდია ი. გომართელის დამსახურება მშობლიური ხალხის წინაშე. მის შრომას არ ივიწყებს მადლიერი ხალხი.

ვლ. წოწელია

მაყვალა

მოთხრობა

ვანო ურჯუმელაშვილი

ირგვლივ ბნელი ღამე იწვა, მაგრამ ყველაფერი ბრწყინავდა, ელავდა, ანათებდა. მაყვალა უჩვეულო ხალისით იყო სავსე, ხელებს შლიდა. სახეზე მოდებულ ფოთლებს ჰკოცნიდა. და უცებ ადგილზე გაქვავდა: გიგლა, რომელიც წინა ღამეს ეხვეწებოდა, ლოდინით ნუ მომკლავ, დროზე მოდიო, საბძელთან არ დახვდა.

„ვაითუ არ მოვიდეს?" — ამის გაფიქრებაზე გული აუჩქროლდა, ალბათ, იქვე ჩაიჩოქებდა, მაგრამ საბძლის კედელს მიეყრდნო.

„მოვა, უსათუოდ მოვა!" — ეჩურჩულებოდა ყელზე შემოხვეულ ცაცხვის ტოტებს, გამტერებული გასცქეროდა სოფლის გზას და გულისფანცქალით ელოდა მის გამოჩენას.

სოფლის მოედანზე დოლისა და სალამურის ხმა მიწყდა. გზაზე გამოჩნდნენ ხელგადახვეული წყვილები.

„ეს რა დიდი დრო გასულა! იგი ყოველთვის პირველი მოდიოდა პაემანზე, ნეტავ დღეს რა დაემართა, სად დაიკარგა?!" — ფიქრობდა მაყვალა და აქეთ-იქით იხედებოდა, გუშინდელივით შეუმჩნევლად თავზე არ წამომადგესო, მაგრამ ვაჟი არ ჩანდა.

არც მეორე დღეს გამოჩენილა გიგლა. მაყვალა ფანჯარას არ სცილდებოდა, სოფლის გზაზე ცქერით თვალები ებრიცებოდა. ლურჯ „პობედას" დაინახავდა თუ არა, გარეთ გარბოდა, მაგრამ მანქანა სადმე ორღობეში გაუხვევდა და დანაღვლიანებული ქალიშვილი ხახამშრალი რჩებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს სოფელში ხმა დაირხა, გიგლა რაიკომის მდივნის ცოლის დას ირთავსო. მაყვალას თავზარი დაეცა. ოთახში ჩაიკეტა, საწოლზე პირქვე დაემხო და დიდხანს იქვითინა. როგორ არ ეტირა?! განა, თვითონ არ არის დამნაშავე?! რატომ მიენდო ასეთ ქარაფშუტა, მატყუარა ადამიანს?! რატომ ვერ გამოიცნო მისი ზრახვები, ასე რამ აუბნია გზა-კვალი?! იქნებ გიგლაანთ ცხოვრებასა და „პობედით" სეირნობას დახარბდა?! ან შეიძლება ვაჟის წინასწარ გაზეპირებულმა სიტყვებმა აუფორიაქა გონება?! ბავშვური გულუბრყვილობით მიენდო იმ მატყუარას და სამუდამოდ შეირცხვინა თავი! ვაითუ, სოფელმა უკვე იცის მის თავზე დატრიალებული უბედურება? განა ხალხს რამე დაემალება! რა პირით უნდა შეხედოს მშობლებს, ნათესავებს, ახლობლებს! იქნებ სჯობია, აქაურობას გასცილდეს და სადმე შორს გადაიკარგოს! მერე შეელევა მშობლებსა და პატარა დებს?!

დედის გულმა თითქოს იგრძნო შვილის წუხილი:

— მაყვალა, გენაცვალე, რა სულ ერთავად შინა ზიხარ, რადა ხარ ასე მოწყენილი, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?!

მაყვალა დუმდა.

— ნურაფერს დამიმალავ, შვილო! — შესთხოვდა დედა. — გამაგებინე, რამ დაგასევდიანა, ღამეები არ გძინავს, ოხრავ და მოთქვამ! სად გაჰქრა შენი სიხალისე, სიმხიარულე? ყველაფერზე ხელი აიღე, აღარც ამხანაგებს ეკარები, ზეზეულად ჩამოხმი!

მაყვალა გზას გასცქეროდა. თვალები ცრემლებით ევსებოდა და კრინტს არ სძრავდა.

— მითხარი, მითხარი, შვილო! — ევედრებოდა აცრემლებული დედა. — გულს რა შეია გიღრღნის, შენს ვარამსა და წუხილს ჩემზე უკეთ ვინ გაიგებს?

— დედიკო, საყვარელო, რატომ იცრემლები, სატირალი არაფერი მაქვს! — მიუგო მაყვალამ, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და თვითონვე აქვითინდა.

— დედა მოგიკვდეს, შვილო, გამაგებინე, ეს რა ღვთის რისხვაა ჩვენს თავს.

მაყვალას არაფერი უთქვამს. წამოდგა და ფეხაკრეფით ბაღჩისაკენ გაემართა.

დედამ დანაღვლიანებული თვალი გაყოლა შვილს.

საღამო ხანი იყო.

მაყვალამ სოფელი ისე გაიარა, თავი მაღლა არ აუღია, არავის ესალმებოდა, არავის ყურადღებას არ აქცევდა. ერთ აზრს მოეცვა: რაც შეიძლება მალე ენახა გიგლა და სიმართლე შეეტყო.

„მოიცა" — გუნებაში წაილაპარაკა და შეჩერდა. ასე შეუმჩნევლად როგორ გამოიარა მთელი სოფელი!.. რახან აქამდე მოვიდა, ბარემ ვენახშიც შევა და მამას ინახულებს. ის ხომ დილას აქეთ აქ არის და უსმელ-უჭმელია!

ვენახის თავში, კაკლის ქვეშ შეჩერდა და ვაზს თვალი მოავლო. შემხმარ ტოტებში ლამაზად მოჩანდა ქარვასავით შეფერიანებული, დახუნძლული მტევნები. მამა არც ქოხში იყო, არც კაკლის ჩრდილში ჩანდა. ბილიკს ჩაჰყვა იმ იმედით, რომ იგი ვენახის ბოლოში იქნებოდა. ჩორკნის ხმა მოესმა. ბევრი იცქირა ვაზებში, მაგრამ ვერავინ დაინახა. კიდევ ორიოდე ნაბიჯი გადადგა და ცალმუხლზე დაჩოქილი მამა დაინახა. მოჭრილ ფეხზე პროტეზი შეეხსნა. ხელში თოხი ეჭირა და ვაზს ძირს უთოხნიდა. იქვე, ატმის ძირას, პროტეზი და ჯოხი ელაგა.

მამას მკლავები დაეკაპიწებინა, ხალათის საკინძე ჩაეხსნა. სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. თოხის მოქნევისას ტანი უძრავად ეჭირა და მთელ ძალას მსხვილ, დაძარღვულ მკლავებს ატანდა. ხელებზე დაბჯენილი ინაცვლებდა ადგილს და შეუსვენებლივ თოხნიდა.

მაყვალა სულგანაბული შესცქეროდა მამას. ვერც წინ წაედგა ნაბიჯი, ვერც უკან ბრუნდებოდა. არაერთხელ უნახავს მაყვალას ეს სურათი,

მაგრამ ამჯერად გული აუჩუყდა, თვალი ცრემლით აევსო. ფრთხილად შეტრიალდა და ფეხაკრეფით გავიდა ვენახიდან.

თავჩაღუნული მიაბიჯებდა. ატალახებულ გზაზე ფეხი უცურდებოდა.

უცებ მანქანის გუგუნი მოესმა. ყური მიუგდო. გუგუნი აღარ განმეორებულა. მაყვალამ ფეხი აუჩქარა. მოსახვევთან ლურჯი „პობედა" იდგა. მაყვალა შეკრთა. გულმა რაღაცნაირად გაუწია.

„გიგლას მანქანაა... გიგლას მანქანაა". — გაუელვა. ერთი პირობა უკან დაბრუნება გადაწყვიტა. მაგრამ მერე ამაყად აუწია თავი და მანქანას მიუახლოვდა. გიგლა მანქანაში იჯდა. დაინახა მისკენ მომავალი მაყვალა, გადმოვიდა, ჯერ საბურავებს დახედა, ვერ მოისვენა. მერე კი კაპოტი ახადა და ძრავას დაუწყო კირკიტი. „ვიღაცას უცდის", — გაიფიქრა მაყვალამ — „თითქოს ვერც მხედავს". ახლა უფრო მწარედ ეტკინა გული, რაღაც ჩასწყდა და მოადუნა. თავისდაუნებურად შეჩერდა მანქანასთან. გიგლას თავი არ აუწევია. კიდევ უფრო მოიკუნტა, თითქოს შიგ ძრავაში აპირებდა ჩაძრომას.

„მორჩა! — გაიფიქრა მაყვალამ. გული აღარ მომიბრუნდება! ფუ, შენს კაცობას, შენს ადამიანობას! ღმერთსა ვთხოვ, ჩემი ცოდვით დაიწვა და დაიდაგო!" მაგრამ არაფერი უთხრა. ერთი განმგმირავად შეათვალიერა და გასცილდა.

დაბლა, მაყვალას ფეხთით ფაფარაყრილი ტალღები შემზარავად ღრიალებდნენ. აქაფებული წყალი ჩიკორივით ტრიალებდა, ვეება ძაბრს აჩენდა, ძირფესვიანად მოგლეჯილ ნერგებს მორევი ბურბუშელასავით ათამაშებდა და პირდაღებული ხახით უფსკრულისაკენ მიაქანებდა.

აბობოქრებული მდინარის პირას მაყვალას ეჩვენებოდა, რომ უმწეო, ფუსფუსური არსება იყო, მოტყუებული და მიტოვებული, როგორ ენატრება ჰყავდეს მეგობარი, რომელიც მის წუხილს გაიგებს, თანაგრძნობას გაუწევს, სიტყვით გულს გაუმაგრებს, დაამშვიდებს! მაგრამ ვის შეუძლია გაიგოს? დაამშვიდოს? არავის! დღეს იქნება თუ ხვალ, მისი საქციელი გახმაურდება! ალბათ ყველა ზურგს შეაქცევს... მდინარისაკენ გაემართა, ფეხი ხის გამოშვერილ ტოტს წამოჰკრა, ჩაიმუხლა, ვაიო — ამოიგმინა. რაღაც საშინელი და მწვავე ტკივილი იგრძნო. უნებურად მუცელზე მიიდო ხელი. გონება განათდა. ერთხანს მდუმარედ იდგა, ჩამუქებულ სივრცეს მიშტერებოდა, მერე აბობოქრებულ ტალღებს გახედა. ახლა წინ კი არა, უკან გადადგა ნაბიჯი. არა! არ შეუძლია ნაბიჯის წინ გადადგმა. არ შეუძლია კი არა, უფლება არა აქვს, რადგან მის სიცოცხლეში სხვა ადამიანის სიცოცხლეც არის!

ნელ-ნელა უკან დაიხია. მერე ერთბაშად შეტრიალდა და აჩქარებული ნაბიჯით გასცილდა მდინარეს.

ნელი ბაბრიჩიძე

სიშორე

მაინც სად იყო ამხელა შიში,
გულს რომ დაეცა, ვით კაკაბს ქორი,
და ვით ზღვისპირა სავსეა ქვიშით,
სავსე ვარ შვილზე დარდით და.
თრთოლვით.

იზრდება ფიქრი, მძიმე და მკვრივი,
თვალში ნატვრა და ნაღველი ღვივის,
ო, ნეტავ მთვარის რომელი სხივი
ირეკლავს იმის უმწეო ღიმილს.

იქნებ ქარია და ესიზმრება
ზურაბი ტოვებს სურამის ციხეს,
დაქანებული ლოდი იზრდება
და ეშინიათ თოჯინებს ციხეებს.

იქნებ უღიმის კეთილ დეიდებს
და ყელზე ფეთქავს ცისფერი ძაფი,
იქნება სულაც ვარდის ფერი ხდება
და მზეს უცინის ცელქი და სწრაფი.

სულ მალე ვნახავ, მაგრამ რა იყო
გულს რომ ეძგერა, ვით კაკაბს ქორი,
გული წაიღო, ხათ წაიღო,
ამსავსე დარდით, სინაზით,
თრთოლვით.

შენ ხარ ძლიერი

ძლიერი ხარ და არ არის გვიან
კვლავ დაუბრუნდე ძვირფას
ნასახლარს,
არის სურათი: „სინათლე" ჰქვია
და მიტოვებულ ნაპირს ახატავს.

აქ არ მოდიან გემები დიდი,
აქ ლელებია, ზღვა და ნისლია,
მხოლოდ სილაზე გაივლის ჩიტი
და ვერ გაიგებ ჩიტი ვისია.

შემდეგ კი აღარც ჩიტი იქნება,
საით მიჰყვები უცხო ლელიანს,
შეგაშფოთებენ ძნელი ფიქრები
და გამოსავალს ჩუმად ელიან.

შენ გაგონდება მეგობრის მხარი,
და მის სიმკვრივეს ეურჩნობი ნელა,
და სადღაც ისევ შრიალებს მტკვარი
და შენთვის მეტად ნაცნობი თელა.

შეჩერდები და... არ არის გვიან,
კვლავ დაუბრუნდე ძვირფას ნასახლარს,
არის სურათი: „სინათლე" ჰქვია
და მომლოდინე ნაპირს ახატავს.

გზა, რა გზა...

პირველი დიდი მოვლენა, რამაც პოეტის გრძნობებსა და შთაბეჭდილებებს საზრდო მისცა, ომი იყო და სწორედ ომში დაიბადა და გამოიწრთო თ. ჯანგულაშვილი როგორც პოეტი. ამიტომ ბუნებრივია, რომ ომი ერთ-ერთი მთავარი თემაა მის შემოქმედებაში. დიახ, თ. ჯანგულაშვილი ომიდან მოვიდა ჩვენს ლიტერატურაში. და თითქოს უცნაურია, რომ „სალამურები" უწოდეს კრებულს, რომლითაც თ. ჯანგულაშვილის გარდა მკითხველის წინაშე კიდევ სამი ფრონტელი პოეტი (ო. ჭელიძე, შ. ლებანიძე და ვ. გორგანელი) წარსდგა. ამ კრებულისათვის „საყვირები" უფრო უნდა ეწოდებინათ, ის საყვირები, რომლებიც ომის ქარცეცხლში განგაშს სტეხდნენ. ან სირენები, რომლებიც საჰაერო თავდასხმის მოახლოებისას გაჰკიოდნენ. მაგრამ ომის მძიმე წლების შემდეგ ხალხი ისე მოწყურებული იყო ტკბილ, მშვიდობიან ცხოვრებას, რომ სწორედ სალამურების მოსმენა ეწადა.

ომზე თ. ჯანგულაშვილის ლექსები იწერებოდა როგორც უშუალოდ ომის დროს, ისე მისი დამთავრებისთანავე და ომის დამთავრების კარგა ხნის შემდეგაც, როცა პოეტი სანგრებში განცდილსა და გადატანილს შორიდან, დადინჯებით უცქერდა.

ომის დროს დაწერილ ლექსებში იგრძნობოდა მებრძოლი ხალხის გულში ჩაღვივებული სიმართლისა და ძალის რწმენა, გამარჯვების რწმენა.

ომის წლებში პოეტის მეომრული ცხოვრება მტერზე შურისძიების ბალადა იყო — იგი იარაღით ებრძოდა დამპყრობლებს და მისი პოეტური ნიჭიც იქითკენ იყო მიმართული, რომ შეექმნა ბალადა შურისძიებისა, ბალადა იმის შესახებ, თუ როგორ ამოაგდო ომმა მშვიდობიანი ცხოვრების კალაპოტიდან პოეტის თაობა:

და მე ჭაბუკს უზადო მკერდი
ამოვიდარე ცეცხლით, მახვილით;

ბალადა იმის შესახებ, თუ საბჭოთა ხალხები რა რისხვად დაატყდნენ თავს დამპყრობლებს. მშვიდობიანი ცხოვრება ჰქონდა მთიელ ვაჟკაცს, მაგრამ მოვიდნენ გერმანელი ფაშისტები, გადაუწვეს და გადაუთელეს მშობლიური აული, შეუგინეს სატრფო. გამწარებულმა ვაჟკაცმა იარაღს მოჰკიდა ხელი და მომხდურებს დაერია ყვირილით: „სიკვდილის წილ სიკვდილი, სისხლი სისხლის მაგიერ"... ასეთი იყო მილიონობით საბჭოთა ადამიანის პასუხი მტრებისადმი. პოეტის ნიჭიც იქითკენ იყო მიმართული, რომ შეექმნა ბალადა შურისძიებისა, კავკასიისა და მისი დამცველებისა, ომის ხანძრითა და სამშობლოს მოგონებით განათებული ფრონტის ღამეებისა და, ბოლოს, ბალადა გამარჯვებისა და სამშობლოში დაბრუნებისა.

სისხლმა და დუხმა, სიკვდილის საშინელმა სანახაობამ და ქვემეხების შემაძრწუნებელმა გრიალმა ვერ ჩაუკლა საბჭოთა მეომარს ადამიანობა და სიყვარულის სითბო. საბედნიეროდ, არც პოეტის ფაქიზი და სათუთი გრძნობები დაჩლუნგდა და გაბოროტდა. თუმცა რა დაჩლუნგდებოდა, როცა თვით ფრონტზე, სიკვდილთან ჭიდილში მყოფ პოეტს დედის ბარათი ევედრებოდა: „შვილო, შემოგევლე, სადაც დაბინდე, ლექსების წერაც არ დაივიწყო". საოცარი და ამაღელვებელია! და ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ ომის დამთავრების მეორე დღეს, თუმცა ყურებში ჯერ კიდევ არ მინელებულიყო მოიერიშე თვითმფრინავების ღმუილი, ტანკების გრუხუნი, ბომბებისა და ყუმბარების აფეთქებათა ჯოჯოხეთური ხმა, პოეტის გულს ახარებს, როცა ხედავს, რომ ადამიანი ხელს უწვდის ადამიანს, როცა ხედავს რა შეგნებული და კაცთმოყვარეა საბჭოთა ჯარისკაცი — გუშინდელი მრისხანე მეომარი.

თ. ჯანგულაშვილი, როგორც პოეტი და მოქალაქე, ფხიზლად და ერთგულად ედგა მხარში თავის სამშობლოს განსაცდელის ჟამს და ომის შემდეგაც გატაცებით ემსახურება მას. ჩვენმა ხალხმა მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყო და პოეტისთვისაც ხომ მშვიდობა და სიხარულია სანუკვარი. თუმცა ომის თემას იგი ხშირად უბრუნდება, რადგან შეუძლებელია განცდილის დავიწყება.

ომის ღამე გავათენეთ, დედი დღე ვინ
დაგვიღამოს?!
საქართველოვ, დაგიბრუნდი, მე
მეომრის ვიხდი სამოსს,
მაგრამ განა დავივიწყებ წელს
შარშანდელს, შარშანწინდელს?

ვერა და ვერ ივიწყებს პოეტი ომის მრისხანე გზებსა და ნაღმებითა და ათასი სხვა მოულოდნელი ხიფათით სავსე ბილიკებს. რა გზა გაიარა პოეტმა! („გზა, რა გზა" — სწორედ ასე უწოდა ერთ-ერთ თავის ლექსსა და წიგნსაც, რომელშიც თავმოყრილია ომის თემაზე დაწერილი ლექსები). ეს იყო „ტანჯვის, დიდების და გამარჯვების გზები". „ქარიშხლის ფრთებით ატაცებული" ბავშვი მრისხანე ომში დავაჟკაცდა („ბავშვი ბავშვი — მრისხანე ომში ასე უდროოდ დავაჟკაცებული"). ამ გზებზე სიარულისას „საბნად ვარსკვლავთა ნაშთი" ჰქონდა, „ბალიშად — სიპი ნამსხვრევი ჰქონდა, წინ სიკვდილად რომ ჯადაგლობა". ამ გზებზე სიარულისას ბევრი ქალაქი და უფრო მეტი სოფელი გაიარა ცეცხლითა და მახვილით („ასი ქალაქი მეომარს, დამრჩა ნაზმარი სოფლებისაგან"). ამ გზებზე ფერფლის თოვა და სისხლის წვიმა უნახავს. სწორედ ამ გზებზე ნახულმა და განცდილმა მისცა საშუალება თავის მეხსიერებაში აღებეჭდა ფრონტული ცხოვრების რეალისტური დეტალები. პოეტი ხშირად ახსენებს ომში დაკარგულ სისხლს, რომელსაც ძარღვებში ბოლომდე ვერ აღვიდგენთ. მაგრამ პოეტს ყველაზე მეტად აწუხებს „მეგობართა დაკარგული სახელები", ომით გამოწვეული მწარე მოგონებები, ხანდახან კოშმარად რომ ეწვევა.

და არ გამოიცა პოეტს არცერთი წიგნი, რომ შიგ ომის გახსენებით დაწერილი ლექსი არ იყოს. შეიძლება ცალკე აღებული ესა თუ ის ლექსი დიდი ლიტერატურული მოვლენა არ იყოს, მაგრამ ყველა მათგანში არის რაღაც დამახასიათებელი ფრონტული ცხოვრებისა, მეომრული ფსიქოლოგიისა. და ყველა ამ ლექსის წაკითხვით იქმნება ერთი საკმაოდ სრული სურათი „სანგარში ჩარჩენილ სიჭაბუკეზე", „ხიშტის წვერით გათხრილ სადღაც სიყრმის მეგობრის დამარხვაზე"...

მაგრამ, როგორც ვთქვით, დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება და პოეტი აქაც გვერდით ამოუდგა თავის ხალხს.

სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში ომისშემდგომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. და თ. ჯანგულაშვილმაც თავისი პოეტური სიტყვით მხარი მისცა ხალხს. თუ ომის დღეებში პოეტი ქმნიდა შურისძიების ბალადას, ახლა ქმნის მიწის გაცოცხლების ბალადას, უმღერის სამგორის გაზაფხულს (წიგნი „ბალადა მიწის გაცოცხლებისა").

ამ ციკლის ლექსებში ცოცხლდება სამგორის მშენებელი ქართველი ვაჟკაცის სახე.

ამ ჭაბუკებმა იორს გზა უცვალეს. სამგორის გამომშრალ ველზე გადმოატარეს და თბილისთან მოაგდეს. ყოველივე ამას მოესალმებოდა თ. ჯანგულაშვილის ლექსები. ეს ლექსები ქმნიდა შრომის რომანტიკას. და ხალხს შრომაში ეხმარებოდა.

პოეტი ახლა მომავალში იყურებოდა, როცა ცოცხალი ფერებით ხატავდა სამგორის პირველ ყანებს — „ზღვისპირ მკერდსავით ჯეჯილებს" სამგორის ველზე გაჩენილ პირველ სოფლებს („უკვდავ სიცოცხლით დასახლებულა ველები მზისკენ დაკიდნილები, დიდი ცხოვრება გაჩაღებულა, შრომაც, ძეობაც და ქორწილებიც"). ყოველივე ეს დღეს უკვე სამგორის ველის აწმყოა.

თ. ჯანგულაშვილი პოეტის მახვილი თვალით ეძებს და ყურადღებას ამახვილებს იმ ახალზე, იმ მიღწევებზე, რაც მიუთითებს საბჭოთა სახელმწიფოს წინსვლაზე.

თ. ჯანგულაშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის თემას. პოეტმა ლექსების რკალი უძღვნა უკრაინას, სომხეთს, აზერბაიჯანს, ჩეჩენეთს. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო დაღესტანზე დაწერილი ლექსების ციკლი გამოუვიდა. აი, როგორ აკონკრეტებს პოეტი ძმობის საგალობელს:

და როგორც ერთი სახელი შვების
დაღესტნურ აულს და ქართულ
სოფელს,
ისე ერთია მიზანი ჩვენი,
ჩვენს გზებს ხანჯლები აღარა
ჰყოფენ.

შემდეგ პოეტი გულთბილად ლაპარაკობს მასა და მთელი ქართველი ხალხის მეგობრის, დაღესტნელი პოეტის რასულ გამზათოვისა და მისი მამის, აგრეთვე ცნობილი დაღესტნელი პოეტის გამზათ ცადასას შესახებ.

თ. ჯანგულაშვილზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დაღესტანს, რომ ამ ქვეყნის თემებზე ქმნის ლამაზ სატრფიალო ლირიკულ ლექსებს, რომლებშიც შემონახულია დაღესტნური ჟღერადობა და ელფერი, ფოლკლორის უშუალობა და უბრალოება. აი ერთი მათგანი:

— დედი, ჩქარა გაიღვიძე,
ნახე საკვირველება:
მწვანე კაბა გადაიცვეს
თოვლიანმა ველებმა.

დედი, ადი სახლის ბანზე,
ნახე თოვლის შვინული,
სურნელოვან ცისფერ იებს
დაუფარავს ყინული.

— შვილო, მწვანით რამ შემოსა
თოვლი, თეთრად დაყრილი,
მხოლოდ შენს გულს, ახალგაზრდულს
ეჩვენება აპრილი.

შვილო, ვხედავ მოგედება
რაღაც ცეცხლი ძლიერი,
სიყვარულმა თოვლზე იცის
აყვავება იების.

სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს ლექსები „საღამოს ტბასთან", „ავდრის შემდეგ" და „აღმართზე". და, ბოლოს, თ. ჯანგულაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „თრაუთი" და ისიც ომთან და ჯარისკაცულ ყოფასთან დაკავშირებული. იგი მშვენიერი გრძნობებით შთაგონებული ლექსია და სათანადოდ რომ განიცადო და დააფასო, აუცილებლად მთლიანად უნდა წაიკითხო.

რომელი ქართველი პოეტია, რომ საქართველოს წარსულისათვის არ მიუმართავს? და თ. ჯანგულაშვილიც ქმნის ლექსების ციკლს „დავით გარეჯის სავანეში". ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდის გრძნობები ჩამჭკნარა გარეჯის სავანის ცივ კედლებში! პოეტს ეს წუხილი მოლანდებად დაუდგება წინ: ღამით სავანეში ლოცვა მოესმის — ეს დაკარგულ სიყვარულზე მოსთქვამს ლოცვით დაბერებული დაჩაგრული სიჭაბუკე ბერისა („მოლოცვა"). ამ ბერის [illegible] წყარო („ცრემლის წყარო"). აი, [illegible] პოეტი [illegible] მოუცავს, ბუნებრივია, რომ ამ უბრალო შემთხვევასაც წარსულს უკავშირებს. ჩიტი რომ ასე სწუხს თავის ბუდეზე და ბარტყებზე, რაღა უნდა ვგრძნოთ ჩვენს წინაპრებს, როცა მომხდურები სახლ-კარს უნგრევდნენ?

ჩიტი ჩიტია, მაინც კი იცის
თავის ბუდისთვის თავის განწირვა
კაცისთვის აბა რა იქნებოდა,
რა მწარე ცეცხლი დასწვავდა
ბერებს,
როდესაც მტერი მიადგებოდა
მშობელ ბუდეებს — მამულის
კერებს.

მონასტრის ქვასაფლავში — ქვის საწნახელში წინაპართა ძვლები ინახება. პოეტს სწამს, რომ ეს ძვლები ახლაც მუდამ სამშობლოზე ლოცულობენ:

ყოველ საღამოს და ყოველ დილით
უცხო ხმაურით აიშლებიან
და თეთრი ძვლები, შიშველი ძვლები
საქართველოის ლოცვად დგებიან.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეტი გვეუბნება, რომ წინაპართა ნამოღვაწარი დღესაც ხელს უწყობს მათი საყვარელი სამშობლოს წინსვლას.

თ. ჯანგულაშვილის ლექსების განხილვას იმ ლექსებით ვამთავრებთ, რომლებშიც ისევ და ისევ ომის ექო ისმის. განა ომის დავიწყება ასე ადვილად შეუძლია პოეტს! „ბომბებისაგან ამოთხრილი ორმოს ბილიკები ჩემს ლექსებს დღესაც ისევ აცხიათ" — ამბობს პოეტი ლექსში „დღეს ჩემს ქუჩაზე გაიარეს არმიელებმა".

ბავშვობაში დედას ბევრი დაპირებია: როცა გავიზრდები, წითელ კაბას გიყიდიო. პოეტის თაობის ახალგაზრდებმა ვერ შეასრულეს ეს დაპირება, რადგან ისინი სკოლის მერხიდან გაიტაცა ომის ქარცეცხლმა. ხოლო როცა პოეტი დაბრუნდა, დედა ქვრივი დახვდა და ახლა თალხი კაბა მიართვა საჩუქრად:

სიქვრივის საჩუქარი მოგართვი,
დედი,
და შენს წინ ვდგავარ, ვით დამნაშავე.
უფლება არ მაქვს,
მკაცრი წესი გულს მეწყლულება,
სხვა ფერის კაბის ყიდვა უკვე არ
შემიძლია...
შვილს აპატიე დაპირების ვერ
შესრულება, —
შენი სისხლია, შენი ღვიძლია...

დღეს კი, როცა ბავშვი თავის დედას ასევე ჰპირდება, წითელ კაბას გიყიდიო, პოეტი ნატრობს არაფერმა შეუშალოს ხელი ბავშვის სურვილისა და დაპირების შესრულებას.

როგორც ვხედავთ, ეს ლექსი მარტო წარსულის გახსენება კი არ არის, არამედ მომავლისათვის იბრძვის. ასევე იბრძვის ნათელი და მშვიდობიანი მომავლისათვის თ. ჯანგულაშვილის ბევრი სხვა ლექსი.

თავის პოეზიაზე თ. ჯანგულაშვილი მოკრძალებით ამბობს: ვერა ვთქვი სიმღერა დიდი, მაგრამ რაც მითქვამს, გულწრფელად მითქვამსო. მართლაც, გულწრფელობა მისი ლექსების ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. მაგრამ, თ. ჯანგულაშვილს ჯერ კიდევ წინ აქვს შემოქმედებითი ცხოვრების მრავალი წელი და ჩვენ მისგან კვლავ ბევრ კარგ ნაწარმოებს მოველით.

რევაზ კვერენჩხილაძე

ევგენი ბართაია

ბროწეულის ყვავილი

„მიყვარს ბროწეულის ჩუქურთმასავით გამოკვეთილი წითელი ყვავილი, ღია წითელი, ხანდახან ალისფერი, უცნაური და ვარსკვლავებით სავსე ნაყოფის წინამორბედი"...

სიმონ ჩიქოვანი

ზოგს კამელიის ყვავილი უყვარს,
ზოგს — ჩაის ვარდი
და ზოგს — კესანე.
ზოგს ყვავილების ფერი მქუხარი —
ფერი ცეცხლის და
ფერი მკვეხავი.

ნუშის ყვავილი რას მოგვაგონებს?
ყვავილობის ფერი და ელვა?
— ჩვენს მზეს,
ჩვენს მიწას,
ლამაზ მთაგორებს
და სულს გვაგონებს
ზღვასავით მღელვარს!

შენ კი... შენ მაინც წითელი გიყვარს,
გამოკვეთილი წითელი ფერი.
თუმც ეფერები შროშანს და მიხაკს...
და ბროწეულის ყვავილზე მღერი.

და ამ ფერებით — მუქი წითელით,
ღია წითელით, თუ ვარდისფერით,
სულ ერთ ყვავილზე დაიწინდები
და გაფრინდები იმ ერთ სიმღერით.

შენ რომ გინახავს, პატიაშვების
სამარხზე მდგარი ხე ბროწეულის,
ტურფა ახულის თვით სამაჯურზე
ფესვით და სულით შემოხვეული —
თითქოს ის ფესვი ჰკრავს და აერთებს
ამერს და იმერს,
ფშაველს, მოხევეს...
მაშ გაუმარჯოს იმ მაგარ ფესვებს,
კვლავაც რომ მაგარ ხელებს
მოგვხვევენ.

თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენის ექსპონატებიდან



სპექტაკლ „ფიროსმანის" ესკიზი. მხატვარი შ. ლაკიაშვილი.

ოთარ კუპრავა

სად არ მივლია...

სად არ წავსულვარ საქართველოდან,
მგზავრი ვყოფილვარ ზაფხულ-
ზამთარი,
მაგრამ ყოველგან მელანდებოდა
ჩემი თელა და ჩემი ჭადარი.

მუდამ თან მდევდა სამცხის ხატება,
ჭვარი, აწყვეტილი დედის საფლავთან,
ცად ატყორცნილი გოლიათებად —
ჩემი აწყური და შვანაბადა.

სად არ ვყოფილვარ, სად არ მივლია,
სად არ შემისხამს ლექსის მირონი,
ყველგან თან მდევდა, როგორც
სიმღერა,
ჩემი კაცხი და ჩემი ილორი.

თეთრ პანდოკუშთან, ძველი ნაცნობი,
უშხის ღრუბლები მომლანდებია,
განგის ნაპირას მოლზე გაწოლილს
ომბალოს სუნი მომნატრებია;

ბორდოს ვაზებთან ოფის ძველმაჯზე
დარდით თვალები დამსველებია,
რომის საყდართა ზარების ხმაზე
ჩემი სიონი გამხსენებია.

სად არ ვიარე, სად არ ვეხეტე,
სად არ მათოვდა, სად არ მაწვიმდა,
ვერ დავივიწყე მაინც მეტეხი,
ჩემი ჭვარი და ჩემი მთაწმინდა.

ვერ დავივიწყე ამ მიწის ეშხი,
ჩემი ბორანი და ჩემი ხნული.
მშფოთვარ რიონის სველ ბადეებში
გახლართულია ამაყი სული...

ცხოვრების კარნახით

ხელოვნების განვითარების აუცილებელი პირობა მუდამ იყო და არის შემოქმედებითი ძიება, თუ, რა თქმა უნდა, ეს ძიება სწორ იდეურ პოზიციაზე დგას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ფორმალისტური ჟონგლიორობა და ყალბი ნოვატორობა იქნება, რაც არა თუ ხელს უწყობს ხელოვნების ზრდას, არამედ უკან სწევს მას.

ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართულ მწერლობაში ჩამოყალიბდა [illegible] „ცისფერყანწელების" დეკადენტური ჯგუფი, რომელიც წლების მანძილზე აბსტრაქტულად და უაღრესად სუბიექტურად მსჯელობდა ლიტერატურის საკითხებზე. ამ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ვ. გაფრინდაშვილი.

ვიყავი მხოლოდ ლექსით მდიდარი,
არ მიძებნია მეტი ქონება,
და ლექსის გარდა არავითარი
მე არ მხიბლავდა სხვა შთაგონება.

წერდა ვ. გაფრინდაშვილი. მაგრამ მან თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ვერ შეძლო თავისი თვალსაჩინო წვლილი შეეტანა ქართული პოეზიის განვითარებაში. ამის მიზეზი კი დეკადენტობაში უნდა ვეძიოთ. პოეტი ლიტერატურის ფართო გზაზე მხოლოდ მაშინ გავიდა, როცა განთავისუფლდა ანტირეალისტური მიმართულების არტახებისაგან.

ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაზე გადამწყვეტი და არსებითი გავლენა მოახდინა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გაათავისუფლა პოეტის მსოფლმხედველობა და ესთეტიკური მრწამსი, რაც აშკარად ჩანს ლექსში: „რევოლუციის წარსულიდან". აქ პოეტი მძაფრი მხატვრული საღებავებით გვიხატავს რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას და იმ უდიდეს როლს, რომელიც ლენინმა შეასრულა ახალი სამყაროს დაბადებაში.

როცა მოვარდა ოქტომბერი ქარის
სისწრაფით,
როცა უსმენდნენ მას მუშები
თრთოლვით, ცახცახით,
რევოლუცია აღსდგა ისე, როგორც
მნათობი
და გამოცხადდა ლენინის სახით.

ამ დღიდან ვ. გაფრინდაშვილი მტკიცედ დგება სოციალისტური რეალიზმის პოზიციაზე და ცდილობს თავისი სიტყვა მშობლიური ხალხის ინტერესების სამსახურში ჩააყენოს.

ისეთი ლექსი დავწერო მინდა,
რომ არ დამშვიდდეს კიდევ ცხოვრება,
და მჯერა, ჩემი სიმღერა წმინდა
სამშობლო მხარეს ემახსოვრება.

ეს სტრიქონები უკვე თავისთავად მოწმობს პოეტის სწორ პოზიციას და იმ შინაგან გარდატეხას, რომელიც მან განიცადა დიადი სოციალისტური გარდაქმნების შემდეგ.

თუ პოეტი ადრე ამბობდა:

ვარ მარტოობის ჭვარზე გაკრული,
მხოლოდ ღამეა ჩემი ტაძარი
და შავ წყვდიადში, ყველასგან
კრული,
მივდივარ, როგორც ელეაზარი!

30-იან წლებში მისი სულიერი განწყობილება რადიკალურად შეიცვალა. ამას ადასტურებს თუნდაც ლექსი „[illegible]", რომელიც გამსჭვალულია სიცოცხლის სიყვარულით და ახალი ყოფის სურვილით. ერთი სიტყვით, მის ახალ ლექსებში გაბატონებულია ხალისიანი ტონები, ისინი კონკრეტულია, საგნობრივად განსაზღვრული, შინაარსობრივად ნათელი და ხელშესახები. ამიტომ ვამბობთ, რომ ვ. გაფრინდაშვილის პოეტური აზროვნების გრადაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ დიდ მიღწევებთან, რომელიც ჩვენმა ხალხმა დაუცხრომელი შრომით მოიპოვა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

ვ. გაფრინდაშვილი თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა რითმისადმი, მაგრამ ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა და გაღრმავდა ახალმა ცხოვრებამ, პოეტი თავის ერთ-ერთ ლექსში ამბობდა:

მე მუდამ ვცხოვრობ იმის იმედით,
რომ აღმოვაჩენ რაიმე ახალს,
ვარ კმაყოფილი პოეტურ ბედით,
და კვლავ დავეძებ რითმებს
ფრთამაღალს.

ვ. გაფრინდაშვილს რითმა ლექსის დიდ მნიშვნელოვან მუსიკალურ კომპონენტად მიაჩნდა, რის გამო მონდომებით ეძებდა ახალ რითმებსა და სახეებს, იმ ღრმა პოეტური გრძნობების გამოსახატავად, რომელიც მის სულში იყო მოხლეჩილი, როგორც სიკეთე.

ვ. გაფრინდაშვილს ღრმად ჰქონდა შეგნებული მხატვრული სიტყვის ძალა და მნიშვნელობა. კარგად გრძნობდა მის შინაგან თრთოლვასა და ფერადოვნებას. ამიტომაც იგი სიტყვასთან მუდამ შეუპოვარ ჭიდილს ეწეოდა და ამ ჭიდილში იბადებოდა ლამაზი სიტყვა, როგორც ჩვენი გმირული დღეების სიმბოლო.

ვ. გაფრინდაშვილი ვერ ეგუებოდა მქუხარე ფრაზებს, პლაკატურობას. „გამოთქმა მძიმე, სიტყვა ბერავი ვერ ამღერდება ნამდვილ შაირად" — ამბობდა იგი და თანაბარი გამომსახველობით ძალით ხატავდა ზღვის თუ ზამთრის პეიზაჟს, სოფლის თუ ქალაქის სურათებს, დიდის სახეს, უბრალო ადამიანებისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების რეალისტურ პორტრეტებს. უაღრესად საგულისხმო ლექსია „შოთას", სადაც გენიალური პოეტის შთამაგონებელი სახე დიდი სიმართლით არის წარმოსახული ჩვენი დიადი დღეების ფონზე.

არის ოსტატის ხელით ნაჭედი —
ზღვაში მებრძოლავი შენი ზანგები,
შენი ნესტანი, შენი ქაჯეთი,
შენი რითმები — ფარშავანგები.

. . . .

ო, გაიხარე სამშობლოს ბედით,
ჩვენ აღარ გვმოსავს მონობის თალხი,
ბრწყინავს ქვეყანა ამაყი ქედით
და შენ გადიდებს ქართველი ხალხი.

პოეტი აღიდებს თავისუფლებას, რაც მას ადამიანის ბედნიერების მთავარ წყაროდ, პროგრესის აუცილებელ პირობად მიაჩნდა. ამ კონცეფციას ეფუძნება მისი სიმღერები სამშობლოზე, საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე, ახალ სინამდვილეზე, რომლის სიდიადის გამოსახატავად, როგორც პოეტი ამბობდა, საჭიროა სპეტაკი სული, წმინდა და მწველი სიტყვა, რითაც ესოდენ გამოირჩევა ვ. გაფრინდაშვილის პოეზია.

ვკითხულობთ სტრიქონებს: „არ ვაქებ ცხოვრებას მე აღმატებულად და არ ვაწყებ მეტი ბედობით" და ჩვენ ვგრძნობთ, თუ რაოდენ უცხოა ვ. გაფრინდაშვილისათვის ნაძალადევი აღტაცება, ტრაფარეტული აზროვნება. ვ. გაფრინდაშვილს სამშობლოსადმი სარწმუნო მოკრძალება ახასიათებდა. სწორედ ამით აიხსნება ის დიდი ზომიერება, რაც შეინიშნება მის შემოქმედებაში.

მაშ გასწი, ლექსო, იბრძოლე მარჯვედ,
მე აწი ვეღარ მოგეშველები,
ან უნდა მოკვდე, ან უნდა დარჩე
წმინდა სახელით და სურნელებით.

ამ სტრიქონების დაწერიდან დიდმა დრომ განვლო და ახლა უკვე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვ. გაფრინდაშვილი, რომლის პიროვნებაშიც ბედნიერად იყო შერწყმული სპეტაკი ზნეობის მოქალაქისა და ცხოვრებისადმი უაღრესად დიდი ინტერესით გამსჭვალული, ფართო ერუდიციის მქონე შემოქმედის ფასდაუდებელი თვისებები, ქართულ მწერლობაში სამუდამოდ დარჩა თავისი პოეზიის წმინდა სახელითა და სურნელებით.

ვლადიმერ ჯიბუტი

---

* ვ. გაფრინდაშვილი — „ლექსები", „ლიტერატურა და ხელოვნება", 1965 წ.

ლიტ. საქ. - 3

„შეხვედრა" რუსთაველის თეატრის სცენაზე

ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში საინტერესო პროცესები ხდება, განსაკუთრებით მისასალმებელია ის გარემოება, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ და შემოქმედებითი გაბედულებით ყურადღება მიიქციეს ახალგაზრდა რეჟისორებმა. მათ თეატრში თავიანთი ხელწერა შემოიტანეს. ნიჭიერ ახალგაზრდა რეჟისორთა შორის ერთი პირველთაგანი არის რობერტ სტურუა, რომელმაც უკვე მოასწრო მაყურებელი დაეინტერესებინა და დაეფიქრებინა. ვისაც მის მიერ განხორციელებული ბრეხტის „სამი სურვილი", ვ. როზოვის „ვახშმობის წინ" და ა. მილერის „სეილემის პროცესი" უნახავს, აუცილებლად იგრძნობდა ახალგაზრდა ხელოვანის ნიჭის თავისებურებას. რეჟისორის მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი ერიდება შაბლონს და ცდილობს ახლებურად, თავისებურად აღიქვას და გაიაზროს დრამატული ნაწარმოები. მისი სპექტაკლები ყურადღებას იქცევენ სცენური ინტერპრეტაციის სიახლით და კომპოზიციური მთლიანობით; ამასთან რეჟისორის მიერ შერჩეულ პიესებს გარკვეულ გამაერთიანებელ ხაზად გასდევს მოქალაქეობრივი პათოსი.

ახალგაზრდა რეჟისორი ამ ხაზს აგრძელებს ახალ დადგმებშიც. ეს [illegible] „შეხვედრა" („მარი ოქტომბერი") რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე, რომლის განხორციელებაც რ. სტურუამ [illegible], იდეურ-ემოციური შემოქმედებით და სტილის მთლიანობით გამოირჩევა. „შეხვედრაში" რ. სტურუამ ყურადღება გაამახვილა ხასიათების რეალისტურობასა და შეპირისპირებაზე, რამაც ხელი შეუწყო აქტიორთა შემოქმედებითი შესაძლებლობის სრულყოფილ გამოვლინებას.

ფაშიზმის საშინელებაზე მრავალი საინტერესო ნაწარმოები შექმნილა, მაგრამ „შეხვედრა" მათგან გამოირჩევა უპირველესად თავისი ფორმით. იგი მოგვითხრობს იმ სულიერ სიბინძურეზე, რაც ფაშიზმმა ბევრი სუსტი ნებისყოფის ადამიანებში დასტოვა.

თხუთმეტი წლის წინათ მოკლეს საფრანგეთის წინააღმდეგობის ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი—კასტილიონი. ახლა მარი ოქტომბრისათვის ცნობილი გახდა, რომ ორგანიზაცია გასცეს და მისი ხელმძღვანელი ღალატის მსხვერპლი გახდა. და აი, მან ორგანიზაციის ყოველი წევრი მოიწვია. უნდა გაირკვეს, თუ ვინ არის გამცემი. მაყურებელი მოწმე ხდება მეტად დაძაბული საინტერესო დრამატული სიტუაციებისა. წამოიჭრება ერთი მეტად ზოგადი ბრალდება — ვიდრე არ იციან ვინ არის კონკრეტულად ორგანიზაციის გამცემი და მეგობრის მკვლელი, ბრალი თითქმის ყველას ედება. უნდა გაირკვეს ვინ არის დამნაშავე. არანაკლებ საინტერესოა ისიც, თუ რატომ ჩაიდინა მკვლელმა ეს საძაგელი აქტი. დრამატურგი მეტად მძაფრ სიტუაციებს ქმნის. მოქმედება ისეა წარმართული, რომ უცბად ვერ მივხვდებით, ეჭვსაც ვერ მივიტანთ ნამდვილ დამნაშავეზე და შეიძლება პიესის ყოველ მოქმედ პერსონაჟს დასწამოთ გამცემლობა. შესაძლებელი იყო, რომ ამ ორგანიზაციის რომელიმე წევრს ნებისყოფა არ ეყოფოდა, ვერ გაუძლო იმ დიდი სულიერი გამოცდისათვის, რომლის წინაშეც ომის ქარტეხილმა დააყენა და საბედისწერო შეცდომა დაუშვა, მაგრამ აქ შეცდომასთან არა გვაქვს საქმე. ის რაც საბოლოოდ გამოირკვევა, შეცდომა კი არა, საზიზღარი ვერაგობაა. მკვლელი და გამცემი რუეე აღმოჩნდება (ეროსი მანჯგალაძე).

რუეეს უყვარდა მარი ოქტომბერი, მარი ცივად პასუხობდა მამაკაცის ამ გრძნობას. მას კასტილიო უყვარდა. რუეე ხელცარიელი[illegible] და ხარბიც იყო. მან სამი მილიონი მოპარა ორგანიზაციას. ეს კი ხელმძღვანელმა გაიგო. რუეე მხდალიც იყო. მას არ ეყო ვაჟკაცობა, რომ გამოეჩინა გამბედაობა და აღიარებინა დანაშაული, შემდგომში თავისი კეთილი საქმეებით გამოესყიდა ყველაფერი. იგი სულ სხვა გზას დაადგა —სამი მილიონი ფული მოიპოვა, ორგანიზაცია გასცა, ბოლო ომის შემდეგ სტამბა შეისყიდა და გამდიდრდა. მართალია, ბოროტების განხორციელების უკანასკნელ წუთებში რუეე გონს მოეგო, მიხვდა, რომ საძაგლობა ჩაიდინა, მაგრამ დანაშაული მაინც დანაშაულად რჩება. მან მოკლა მეგობარი და მეტოქე. ეროსი მანჯგალაძემ რუეეს სახეში სწორედ ამ მომენტს გაუსვა ხაზი და სავსებით სამართლიანადაც. მხილებული რუეე —ე. მანჯგალაძე უკვე მთელი ბუნებით გამოჩნდება მაყურებლის წინაშე. მსახიობმა შესანიშნავად გვიჩვენა ამ ადამიანის სულის ყოველი მოძრაობა. სწორია და სავსებით დამაჯერებელი ე. მანჯგალაძის რუეეს სახის მთლიანი ინტერპრეტაცია. თუ პირველად იგი მკვლელისა და მოღალატის დაინებულ[illegible] ძიების მიმართ გულგრილი და ინდიფერენტულია, ბოლოს, როცა ცხადი გახდება მისი ბინძური საქმე, იგი საცოდავი და დაბეჩავებულია.

მარი ოქტომბერის როლს მედეა ჩახავა ასრულებს. უდავოა, რომ ამ როლის მომზადებისას მედეა ჩახავა ერთგვარი სირთულის წინაშე იდგა. მის თვალწინ ალბათ ცოცხლად იდგა კინოფილმ „მარი ოქტომბერში" ფრანგი კინომსახიობი ქალის დანიელ დარიეს ბრწყინვალედ შესრულებული ეს სახე. მ. ჩახავამ კარგად დააღწია თავი ამ სირთულეს და მან ორიგინალური, სავსებით დამოუკიდებელი სახე შექმნა. მ. ჩახავას თამაშის მანერა „შეხვედრაში", მე ვიტყოდი, ერთ ანსამბლს ქმნის მხატვრობასთან. თითქოს მხატვარმა ფ. ლაპიაშვილმა თავიდანვე აუღო ალღო ყველაფერს, ალღო აუღო, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სცენური სახე მარი ოქტომბერისა და მან დაუმორჩილა ყველაფერი. ავეჯისა და კედლების ღიჭი ფერი და, ასე ვთქვათ, ძველებური იერი. მათი განლაგება ერთგვარი სიმშვიდის ატმოსფეროს ქმნის. ამას კი ხაზს უსვამს მ. ჩახავას თამაში. იგი სპექტაკლის მხატვრობას განიცდის როგორც პეიზაჟს. ამას მოწმობს მსახიობის ყოველი მოძრაობა, ყოველი ჟესტი.

მ. ჩახავას მარი ოქტომბერი მაშინაც კი არ კარგავს მისთვის ჩვეული ზომიერების გრძნობას, როცა ტყვიას ესვრის მოღალატეს. ამ დროს იგი დინჯია და აუჩქარებელი. მარი ოქტომბერის მედეა ჩახავასეული ინტერპრეტაციის მთლიანობა მაშინაც კი არ ირღვევა, როცა მკვლელობას აბრალებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჟისორმა სპექტაკლის ანსამბლურობას დაუმორჩილა სრულიად სხვადასხვა ხასიათის ადამიანები. თუ ამ ადამიანების ბიოგრაფიაში ბევრი რამ იყო საერთო, (ისინი რამდენიმე წელი ერთად ებრძოდნენ ფაშიზმს), თავიანთი ხასიათებით სრულიად სხვადასხვა ბუნების ადამიანები არიან. სპექტაკლის მრავალსახოვან გალერეას უდავოდ ამშვენებს რამაზ ჩხიკვაძის მიერ განსახიერებული უდარდელი და მხიარული მარინვალი, გრიგოლ თალაკვაძის მელანქოლიური ბუნების მქონე, ერთგვარად დაბნეული ბლანში. გურამ სალარაძისა და ელდარ სახლთხუცეშვილის მშფოთვარე და ინტენსიური ხასიათის სიმონი და ბერნარი, გიორგი გეგეჭკორის დინჯი და ჩაფიქრებული რენო პიკარი.

კეთილშობილებით არის აღსავსე ედიშერ მაღალაშვილის ლე გუეენი. ამ პერსონაჟის განსახიერებისას მსახიობმა, ისეთი შტრიხები მონახა, რომ ეს სახე თბილი და მიმზიდველი გახადა. უფრო მეტი უშუალობა ესაჭიროება მერაბ თაბუკაშვილის ტიბოს, ის უფრო აქტიური და გამომხატველი უნდა იყოს. ამას კარგად მიაღწიეს ბადრი კობახიძემ და რუსუდან ლორთქიფანიძემ. ბ. კობახიძის ვანდამი და რ. ლორთქიფანიძის ვიქტორინა დასამახსოვრებელი სახეებია.

„შეხვედრა" კოლექტივის თვალსაჩინო შემოქმედებითი გამარჯვებაა, სპექტაკლში მთელი ძალით გამოჩნდა შემსრულებელთა შესაძლებლობა და ოსტატობა.

გურამ ბათიაშვილი

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.
ფოტო მ. როსტიაშვილისა.

„მინდა კვლავ ვეწვიო თქვენს ქვეყანას"

„**თითქმის** ერთი თვეა, რაც საქართველოში ვარ. ვფიქრობდი, რომ საქართველოს კარგად ვიცნობდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ იგი ნაკლებად მცოდნია. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია უფრო საფუძვლიანად შევისწავლო მისი ძველი კულტურა და თანამედროვე სახე. მინდა კვლავ ვეწვიო თქვენს ქვეყანას. მოხარული ვიქნები, თუ ეს მოხდება რუსთაველის საიუბილეო დღეებში. ჩემი სალამი და კეთილი სურვილები ქართველ ხალხს!"

ეს სტრიქონები „ლიტერატურული საქართველოს" მკითხველებისათვის ქართულ ენაზე დაწერა ჩეხმა ქართველოლოგმა და კავკასიოლოგმა, პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილების გამგემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვაცლავ ჩერნიმ.

ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით და ვესაუბრეთ ჩეხ მეცნიერსა და მთარგმნელს.

— როგორ გახდით ქართველოლოგი? — ვაცლავ ჩერნიმ გაიმეორა ჩვენი შეკითხვა და განაგრძო, — ეს სულ უბრალოდ დაიწყო. გიმნაზიაში ჩემს მერხზე იჯდა ცნობილი ქართველოლოგის იერომირ იედლიჩკას ვაჟი — იერომირი. მას ხშირად მოჰქონდა უცნაური წიგნები, საინტერესო და მიმზიდველი შრიფტით აჭრელებული. ეს ასოები პირველად ჩემთვის რებუსები იყო, შემდეგ კი...

ვაცლავ ჩერნი გახდა იერომირ იედლიჩკას პირველი მოწაფე, შეისწავლა ქართული და სომხური ენები, შემდეგ სხვა კავკასიურ ენებშიც გაერკვა.

— ამ სამი წლის წინათ პრაღის ექსპერიმენტული ფონეტიკის ინსტიტუტში ასპირანტურის კურსს გადიოდა თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტი გ. ნებიერიძე. ჩვენ, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამომცემლობა „სვეტ სოვეტუ" რედაქტორი, ქართველოლოგი ივო ვაცლავიკი, გ. ნებიერიძე და მე, საღამოობით ვიკრიბებოდით ხოლმე და ერთმანეთს ვავარჯიშებდით ქართულსა და ჩეხურ ენებში. ახლა ჩემი ძველი მეგობარი რუსთაველის გაზეთზე ჩეხურად მესაუბრება, მე კი პირიქით, ვცდილობ ქართულად ვულაპარაკო. ერთი სიტყვით, პრაღის გაკვეთილები თბილისშიაც გრძელდება, — თქვა ვაცლავ ჩერნიმ.

— ჩვენთან, ჩეხოსლოვაკიაში თანდათან იზრდება კავკასიური ენებით დაინტერესება. მე თვითონ ერთი მოწაფე მყავს, მეტად ნიჭიერი ქალიშვილი ალენა მრაჩკოვა, ჩამობრძანდით პრაღაში და ესაუბრეთ მას — გაოცდებით, ერთ წელიწადში რა მშვენივრად შეისწავლა ქართული ენა. იგი, ალბათ, საუკეთესო მთარგმნელი იქნება. მასაც განზრახული აქვს აიყვანოს მოწაფეები და ასწავლოს ქართული ენა.

ვაცლავი გვაცნობს თავისი მომავალი მუშაობის გეგმებს. ამჟამად იგი პოეტებთან იაროსლავ კაბიჩეკსა, პაბა ვრბოვასა და ერიქ იესტრებთან ერთად ახალგაზრდა ქართველი პოეტების ანთოლოგიაზე მუშაობს. წლის ბოლომდე პრაღის ჟურნალები „პლამენი" და „სვეტოვა ლიტერატურა" დაბეჭდავენ ბევრი ქართველი ახალგაზრდა პოეტის ლექსებს.

— იერომირ იედლიჩკას გარდაცვალების შემდეგ მეტი ტვირთი ვიგრძენი, თქვენი ხალხისადმი მისი სიყვარული ახლა მეტს მავალებს. ამიტომ არ მასვენებს ვაჟა-ფშაველას, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა გადათარგმნის ფიქრი. მინდა გამოვცე კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების კრებული, მაინტერესებს გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები...

დახვეწილი ქართულით ლაპარაკობს ვაცლავ ჩერნი და ამ საუბარშიც მჟღავნდება თუ რა დიდი სიყვარული აკავშირებს ახალგაზრდა ჩეხს ჩვენს მიწასთან.

— საოცარია თქვენი კულტურული სიძველეები. ზღაპარში ეგონა თავი ჩემს მეგობარს [illegible], როცა ვარძიის თაღებში ვიდექით, მაგრამ... უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მენანება, რომ თქვენი კულტურის ძეგლები ვერ არის კარგად რესტავრირებული, — ხმადაბლა განაგრძო მან, — ორნამენტს მეტი მოვლა და სიფრთხილე სჭირდება. ჩვენთან რესტავრაციის საიდუმლოთა შესასწავლად ჩამოდიან, თვით იტალიიდან და საფრანგეთიდან, სიხარულით შევხვდებით მათ კოლეგებს საქართველოდანაც.

ვაცლავ ჩერნი ჩეხოსლოვაკიაში რუსთაველის იუბილესათვის მზადებაზეც გვესაუბრა. საიუბილეოდ „ვეფხისტყაოსნის" ახალი თარგმანი მზადდება. დიდიხანია, რაც პროფესორ ი. იედლიჩკას ბწკარედის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის" თარგმანზე მუშაობს პოეტი იაროსლავ საიფერტი, რომელმაც ადრე დავით გურამიშვილის თხზულებები თარგმნა.

ვაცლავ ჩერნი თბილისიდან ერევანში გაემგზავრა, შემდეგ კი იგი მახაჩკალასა და მაიკოპს ეწვევა.

გივი შეყილაძე

სურათზე: ვაცლავ ჩერნი (მარჯვნივ) და თბილისის უნივერსიტეტის მასწავლებელი გივი ნებიერიძე.

ფოტო ავტორისა.

მწერალთა კავშირში

შაბათს, 16 ოქტომბერს მწერალთა კლუბში მთარგმნელთა სექცია აწყობს ალექსანდრე ნეიმანის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შემოქმედებით საღამოს. მოხსენებას წაიკითხავს რ. ქორქია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

* * *

შაბათს, 16 ოქტომბერს, დღის 2 საათზე შედგება პოეტების სექციის საერთო კრება. სექციის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

15 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში (მაჩაბლის ქ. № 11) შედგება კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის კომისიის ლიტერატურული სექციის სხდომა.

განხილული იქნება პაატა ამირეჯიბის წიგნი „ძია შოთას ბაღია". (მომხსენებელი ნ. ჩხეიძე).

გერმანელი მწერლები თბილისში

ჩვენს დედაქალაქში რამდენიმე დღე სტუმრად იყვნენ ცნობილი გერმანელი მწერალი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ერვინ შტრიტმატერი და მისი მეუღლე, კრიტიკოსი და პოეტი ევა შტრიტმატერი. გერმანელ მწერლებს თან ახლდათ ცნობილი საბჭოთა გერმანისტი ლევ კოპელევი.

გერმანელი მწერლები ინტერესით გაეცნენ ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებას, იყვნენ კახეთსა და სვანეთში, ესაუბრნენ ქართველ მწერლებს, საინტერესო შეხვედრა ჰქონდათ უნივერსიტეტის სტუდენტებთან და მასწავლებლებთან.

გერმანელმა სტუმრებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები, ისაუბრეს თანამედროვე გერმანული ლიტერატურის შესახებ, უპასუხეს სტუდენტთა შეკითხვებს და ბოლოს მადლობა გადაიხადეს ესოდენ გულთბილი შეხვედრისათვის.

პოეტის სახელმა დაამეგობრა ბავშვები

აკაკი წერეთლის იუბილესათვის მზადების დღეებში თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელები სხვიტორელ თანატოლებს ჯერ წერილებით დაუმეგობრდნენ და შემდეგ სხვიტორშიც ესტუმრნენ. სხვიტორელმა პიონერებმა სტუმრებს ჩინებული მასპინძლობა გაუწიეს — დაათვალიერებინეს აკაკის სახლი, „მოლიანი" და პოეტის ძიძისეული სოფელი—საჯავახო.

სხვიტორიდან დაბრუნებული თბილისელი პიონერები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ეთერ ტაბიძის ხელმძღვანელობით ამზადებენ ფოტოსტენდს და კედლის გაზეთის სპეციალურ ნომერს.

შეხვედრები, საღამოები

სურამის კულტურის სახლში გაიმართა მწერალ [illegible] ბაბუხოვის ხსოვნის საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა, სურამის საქალაქო ბიბლიოთეკის გამგემ ელ. [illegible]. მოხსენება გ. ბაბუხოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხა დ. [illegible]. სიტყვები წარმოთქვეს მუშა-ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა კ. ფანქველაშვილმა, ჟურნალისტმა ა. ბინიაშვილმა, მწერლის სკოლის ამხანაგებმა შ. კაკიკაშვილმა, მ. ჯანაშვილმა და ლ. ჯანაშვილმა. მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ან. მამისთავალოვმა და ფ. ჯანაშვილმა.

* * *

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის მსახიობებს ვახტანგ მეგრელიშვილს, შოთა პირველს და შოთა ხაჭაპურიძეს [illegible] კულტურის განყოფილებამ და საზოგადოება „ცოდნის" ქუთაისის ორგანიზაციამ შემოქმედებითი საღამო მოუწყო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კულტურის განყოფილების გამგემ ა. ბარათაშვილმა, მოხსენება წაიკითხა ხელოვნებათმცოდნემ ლ. ქუთათელაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი პ. ხმალაძე, პირველი მუსიკალური სკოლის პედაგოგი გ. ვარდოსანიძე, პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვ. გვენეტაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მ. ნიჟარაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი აკ. ვასაძე.

საღამო დამთავრდა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ მუსიკალური სასწავლების მოსწავლეები და ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები.

აქ მუდამ ხალხმრავლობაა

ოცდაცამეტ ათასამდე წიგნს ითვლის მანგლისის სადაბო ბიბლიოთეკა, რომელიც 1947 წელს დაარსდა. დილიდან საღამომდე მოსვენება არ აქვთ ბიბლიოთეკის გამგეს თ. ალექსიძესა და ბიბლიოთეკარ ე. დემეტრაშვილს — მკითხველებს ურჩევენ წიგნებს, აწყობენ საუბრებს, კონსულტაციებს, ძველ რევოლუციონერებთან, სამამულო ომის გმირებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრებს. აქ განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობა ზაფხულის თვეებში, როდესაც მანგლისს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან მოაგარაკენი ეწვევიან ხოლმე.

ბიბლიოთეკაში შემსვლელთა თვალს იტაცებს გემოვნებით მოწყობილი თემატური გამოფენები.

იმავე შენობაშია საბავშვო ბიბლიოთეკაც (გამგე თ. ნივაძე, ბიბლიოთეკარი ი. წიკლაური). არანაკლებ საინტერესოა და წესრიგია საბავშვო ბიბლიოთეკაში, რომლის ფონდში 25.400 წიგნია და რომელსაც 37 სახელწოდების ჟურნალი და გაზეთი აქვს გამოწერილი. საბავშვო ბიბლიოთეკას რეგულარულად მუდმივი მკითხველი ჰყავს. ნორჩი მკითხველები ხშირად იკრიბებიან ხოლმე წიგნების განხილვებზე, ლიტერატურულ დილებზე, საუბრებზე.

ბიბლიოთეკების კარები ფართოდ არის გაღებული მანგლისელი მშრომელებისა და ნორჩი მკითხველებისათვის. ისინი მუდამ კმაყოფილები ბრუნდებიან შინ.

ნელი ჩარავა

ჩვენი ჟურნალების ახალი ნომრები

„**მნათობის**" მეცხრე ნომერში გამოქვეყნებულია რ. მარგიანის და გ. კაჭახიძის ლექსები, ა. სულაკაურის რომანის „ოქროს თევზის" გაგრძელება, რ. ჭეიშვილის და ი. რურუას მოთხრობები. კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში მოთავსებულია ბ. ჯორბენაძის, ლ. გრიგოლაძის, ფ. ბერიძის, გ. ლეონიძის და მ. კაკაბაძის წერილები. ა. წერეთლის დაბადების 125 წლისთავს ეძღვნება გ. მარგველაშვილისა და ბ. ძლიერის წერილები. აქვე დაბეჭდილია ა. წერეთლის მიწერ-მოწერა ცოლ-შვილთან. ჟურნალი აგრძელებს მ. კვესელავას „ათას ფურ ბრალდებას". ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში დაბეჭდილია დ. ქუმსიშვილის, ნ. ნათაძის, ა. აბრამიშვილის და ა. გვახარიას წერილები.

* * *

„**ცისკრის**" მეცხრე ნომერში დაბეჭდილია გ. ნატროშვილის „თეთრი ხნული" (მოთხრობა), ტ. მუზურიშვილის ლექსები, ჯ. ქარჩხაძის „სანჭოლი" (მოთხრობა), მ. გახიძის ლექსები, ნ. კვალიძის „სინანული" (მოთხრობა), ლ. შენგელაიას „გაზაფხული დინარები" (თარგმანი გ. გვერდწითელისა), ა. ბაქრაძის „ტრაგიკულთან შეხვედრა", ო. პაჭკორიას „დიდი ლიტერატურა პატარებისათვის", [illegible] „ვაჟა-ფშაველა — ადათობრივი სამართლის მკვლევარი", ნ. შოშიაშვილის „XII-XIV სს საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი", გ. კვიტაიშვილის „ადამიანი სახელად [illegible]" და გ. ფანჯიკიძის „ბრაზილიის დიდი გუნდი".

* * *

„**ლიტერატურნაია გრუზიას**" სექტემბრის ნომერი იხსნება გ. ლეონიძის ლექსებით, რომლებიც თარგმნილია ბ. პასტერნაკის მიერ. შემდეგ ჟურნალში დაბეჭდილია ი. ლისაშვილის რომანი „[illegible]" (დასაწყისი, თარგმანი ვ. კორეცკისა), ო. კუპრავას „სამნი ვიყავით" (ლექსი, თარგმანი ვ. სოკოლოვისა), ვ. სულაკაურის „მთებში დადგება გაზაფხული" (მოთხრობა, თარგმანი ი. დადიანისა), ე. გულიაევის, დ. ილიანის, ი. აბრამოვას, ი. მარ-იუხანაანის, ფ. [illegible], მ. [illegible] ლექსები (თარგმანი ხ. [illegible], გ. ონანაის, ლ. მაცატრიანის და ტ. ზაფრისკაიასი), მ. გაიფელის „[illegible] გზა" (თარგმანი ბ. მერინაშვილისა), გ. მარგველაშვილის „პოეზია და რეალიზმი", ვ. ბალუაშვილის „მეგობრობის მედროშე", ს. გველესიანის „მათემატიკოსი", ვ. ასათიანის „[illegible]", კ. მარჯანიშვილის „წერილი შვილს", ს. სერებრიაკოვის „რუსთაველის პოემა ფრანგულ ენაზე".

ახალი წიგნები

„ლიტერატურა და ხელოვნება"

ლევ შეინინი — გამომძიებლის ჩანაწერები. თარგმანი გურამ ბებიაშვილისა და გურამ გვეროფწითელისა. რედაქტორი — მ. კორძაია, მხატვარი — ო. ჯანიშვილი. გვ. 632, ფასი 1 მან. 8 კაპ.

„ნაკადული"

ემილიან ქურდიანი, ნოდარ შამანაძე, გიორგი წერეთელი, ტარიელ ხავთასი — დიდა გაუხარებია. საბავშვო ლექსების კრებული. რედაქტორი — გ. კაჭახიძე, მხატვარი — თ. [illegible]. გვ. 114, ფასი 15 კაპ.

მაქრო სამადაშვილი — მწიფე ყანა. ლექსების კრებული. რედაქტორი — მ. [illegible], მხატვარი — ა. [illegible]. გვ. 40, ფასი 6 კაპ.

აფხაზეთის ასსრ გამომცემლობა „ალაშარა"

მიხეილ ჩაჩუა — ეს დღე შენია (ეს პოეტის მეოთხე წიგნია, რომელშიც შეტანილია ჩვენი თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრების ამსახველი ლექსები). რედაქტორი — მ. გვასალია, მხატვარი — ო. მესხი. გვ. 56, ფასი 11 კაპ.

მირიან დგებუაძე — ყვითელი ვარდი (მოთხრობები). რედაქტორი — მ. გვასალია. მხატვარი — ვ. [illegible]. გვ. 92, ფასი 10 კაპ.

ესტონური ჟურნალის ფურცლებზე

ესტონეთის ქალაქ ტარტუს (ყოფილი დორპატი, იურიევი) უნივერსიტეტის ლექტორი სერგე ისაკოვი და დოცენტი ევა სეიცი გასულ სასწავლო წელს მივლინებული იყვნენ ტარტუს უნივერსიტეტიდან და თბილისის უნივერსიტეტში და პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში წაიკითხეს ესტონური ლიტერატურის ისტორიის კურსი. ესტონეთში დაბრუნებისას მათ საუნივერსიტეტო ჟურნალში „კეელ ია კირიანდუს"-ში („ენა და ლიტერატურა", 1965 წლის №2) და ტარტუს საქალაქო გაზეთში მოათავსეს ვრცელი წერილები ესტონეთისა და საქართველოს კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ.

ხსენებული სტატიების ავტორები აღნიშნავენ, რომ ესტონელები ქართველების შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისშივე იღებდნენ. მაგალითად, 1804 წელს ერთადერთ [illegible], მეტად პოპულარულ ჟურნალ „ნორდიშეს არქივში" დაიბეჭდა ორი სტატია საქართველოს კულტურული ვითარების შესახებ („სკოლები და კლასიკური ლიტერატურა" და „ქართული პოეზიისა და მუსიკის შესახებ"). 1867 წელს თბილისში დასახლდა ესტონელი ექიმი პაულ ბლუმბერგი, ცნობილი მკვლევარი და მრავალი წიგნის ავტორი. მან რამდენიმე საჟურნალო სტატიაში ესტონელებს გააცნო საქართველოს ისტორიის საყურადღებო ეპიზოდები. 1870 წელს საქართველოში მოგზაურობდა ესტონეთის საზოგადო მოღვაწე [illegible], რომელმაც 1878-1883 წლებში ჟურნალ „ეესტი პოსტიმეეს" ფურცლებზე მოათავსა წერილების სერია „წერილები კავკასიიდან", სადაც, სხვათა შორის, დაწვრილებითი ცნობებია სვანების ყოფაცხოვრებაზე და აღნიშნულია, რომ სვანური ხალხური ტრადიციები წააგავს ესტონურ ხალხურ ტრადიციებს. [illegible] წერილმა იმდენად [illegible] ესტონელებზე, რომ ბევრი გადმოსახლდა საქართველოში და 1882 წლიდან შავი ზღვის ნაპირზე გაჩნდა ესტონელების რამდენიმე სოფელი, რომელთა საშუალებითაც ესტონელებსა და ქართველებს შორის მყარდება მეგობრული ურთიერთობა.

მეოცე საუკუნეში საქართველოს შესახებ სტატიების ბეჭდვა სისტემატური ხდება. 1908 წელს ჟურნალ „ესტონურ ლიტერატურაში" დაიბეჭდა ცნობილი ლიტერატურათმცოდნის, ახალი ესტონეთის სახალხო მწერლის ფრ. [illegible] ვრცელი სტატია, სადაც ამირანის თქმულებაა გარჩეული. სტატიაში ეს თქმულება შედარებულია ბერძნულ პრომეთეოსის მითთან. 1912 წელს გაზეთ „იურიევის ფურცელში" (№ 70) დაიბეჭდა მისი სტატია „ქართველი დედოფალი თამარი", სადაც ვრცელი ცნობებია XII საუკუნის საქართველოს კულტურისა და ხელოვნების შესახებ.

1904 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ ესტონური ლიტერატურის ცნობილი კლასიკოსები ედუარდ ვილდე და ანტონ ტამსააი?, რომლებმაც თავიანთ სტატიებში ბევრი საყურადღებო ცნობა მოათავსეს ქართველებზე. ვილდე აღნიშნავს, რომ საქართველოში არის ქალაქები და მაზრები, სადაც სანიმუშოდაც კი ვერ ნახავ ულამაზო და შეუხედავ ადამიანს, განსაკუთრებით ქალებს.

ტარტუს უნივერსიტეტის ჟურნალში („ენა და ლიტერატურა") მოთავსებული სტატიის ავტორები უფრო ვრცლად ეხებიან ტარტუს უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ესტონელებს საფუძვლიანად გააცნეს საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ვითარება.

ტარტუს უნივერსიტეტმა, — ნათქვამია ჟურნალში, — ქართული კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა: ამ უნივერსიტეტში განათლება მიიღო ოთხასამდე ქართველმა, რომელთაგან შემდეგში ბევრი ქართული მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, სახალხო განათლებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა.

ქართველებმა გულწრფელად შეიყვარეს იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტი, რომელიც განთქმული იყო მეცნიერული სიძლიერით და პროფესურის კვალიფიციურობით. ეს უნივერსიტეტი, იმპერიის სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით, მეტი თავისუფლებით სარგებლობდა და ქართველი სტუდენტობაც ცდილობდა უნივერსიტეტის ფარგლებში შეექმნა ეროვნული სათვისტომო, სამეცნიერო წრეები, რომელთა საშუალებით ეწეოდნენ ქართული კულტურის პროპაგანდას, აწყობდნენ საღამოებს. ამ საღამოებზე იგრძნობოდა ეროვნული კოლორიტი. ქართული სიმღერები, ცეკვები, საქართველოს ისტორიის „ცოცხალი სურათები" და ქართული ლიტერატურის საკითხებზე წაკითხული მეცნიერული მოხსენებები ხიბლავდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც ქართველებისადმი დიდ პატივისცემას იჩენდა. ქართველების ავტორიტეტი უფრო გაიზარდა, როცა 1898 წლიდან „ქართულ საღამოებში" სისტემატურ მონაწილეობას იღებდა მომღერალთა საგანგებო გუნდი კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის მონაწილეობით.

ქალაქ ტარტუში ქართველი სტუდენტები მარტო თავიანთი ეროვნული ინტერესებით კი არ ცხოვრობდნენ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ტარტუს სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. თამამად შეიძლება ითქვას, — აღნიშნავენ ავტორები, — რომ ქართველი სტუდენტები ყოველთვის მოძრაობის ავანგარდში იყვნენ, ხელმძღვანელობდნენ რევოლუციურ გამოსვლებს, რის გამო ბევრი დაისაჯა, უნივერსიტეტიდან გაირიცხა, ბევრიც [illegible] გუბერნიაში გადაასახლეს და სხვ. მაგალითად ასახელებენ 1910-1911 წლებში ლ. ტოლსტოის სიკვდილთან დაკავშირებით გამართულ სტუდენტთა დემონსტრაციებს და გაფიცვებს, რომელთა სათავეში ყოველთვის ქართველი სტუდენტები იყვნენ, ხოლო საგაფიცვო კომიტეტის აქტიური ხელმძღვანელი სტუდენტი კონსტანტინე ერისთავი (ახლა აკადემიკოს-ქირურგი) დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდან დაითხოვეს.

1905 წლის რევოლუციამდე სტუდენტთა წრეები არალეგალურად მოქმედებდა. რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. 1908 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ, რექტორატის წარდგენით, დაამტკიცა წესდება ქართული სათვისტომოსი და კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოებისა. ეს ორგანიზაციები ოფიციალურად არსებობდა 1917 წლის რევოლუციამდე.

ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ დიდი როლი შეასრულა ესტონელთა და ქართველთა კულტურული ურთიერთობის ისტორიაში. სათვისტომოში ასზე მეტი ქართველი სტუდენტი იყო გაერთიანებული. სათვისტომოს საპატიო წევრებად ითვლებოდნენ ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწენი: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, პროფ. ივანე ჯავახიშვილი, აკად. ნ. მარი და სხვ. სათვისტომოს თავმჯდომარეები სტუდენტები ჯერ [illegible] და შემდეგ პლატონ [illegible] (ახლა პედინსტიტუტის დოცენტი) დაუღალავად მუშაობდნენ სათვისტომოს გაძლიერებისათვის. ტრადიციული „ქართული საღამოები" იანვრის 14, ნინობის დღეს ყოველწლიურად იმართებოდა. 1911 წელს ტარტუს ქალაქის დიდ თეატრში გაიმართა ქართული საღამო-კონცერტი უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტის, შემდეგში კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. კონცერტზე მღეროდა ვანო სარაჯიშვილი. კონცერტის დამთავრების შემდეგ მომღერალს სტუდენტები [illegible] და „საქართველოს ბულბული" უწოდეს.

სტუდენტთა ქართული სათვისტომო ხშირად აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს. საღამოებს, სტუდენტთა გარდა, ესწრებოდნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ქალაქის სკოლების მასწავლებლები და უნივერსიტეტის პროფესორები.

1913 წელს სათვისტომოსთან დაარსდა არჩილ ჯორჯაძის სახელობის სამეცნიერო წრე. წრის მიზანი იყო საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის მეცნიერული შესწავლა.

ქართულ სათვისტომოს მოქმედება უფრო გაძლიერდა 1914 წლიდან, როცა ტარტუს უნივერსიტეტში პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტიდან გადმოვიდა 30 ქართველი სტუდენტი, მათ შორის ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ აბრამიშვილი, თედო ბეგიაშვილი, იროდიონ სურგულაძე და სხვ. მათ სათვისტომოს სამეცნიერო მუშაობა მაღალ დონეზე დააყენეს.

მეორე დიდი გაერთიანება ტარტუში იყო „კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოება ქალაქ იურიევში". არსებითად ეს საზოგადოება ქართული იყო, რადგან წევრების უმრავლესობა ქართველები იყვნენ და საზოგადოების თავმჯდომარეც ყოველთვის ქართველი იყო. (მაგ. გიორგი [illegible], ქ. ერისთავი, [illegible], დავით ონიაშვილი). ეს საზოგადოება იმდროინდელ ტარტუს სტუდენტობის ყველაზე მოწინავე და რევოლუციური ორგანიზაცია იყო.

ტარტუში მოსწავლე ქართველი სტუდენტობა ჩვენთვის, ესტონელებისათვის, — აღნიშნავენ სტატიის ავტორები, — საინტერესოა როგორც ესტონურ-ქართული კულტურული ურთიერთობის განმამტკიცებელი. ჩვენ, ესტონელები, ვამაყობთ, რომ ტარტუს უნივერსიტეტში ქართული კულტურის მრავალი მოღვაწე სწავლობდა, რომ მათი ტალანტი ესტონეთში [illegible].

ქართველი სტუდენტების კულტურული ტრადიციები არ დავიწყებია ესტონელ ხალხს. ისინი ხელახლა აღორძინდა 1940 წლის შემდეგ, როცა ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. პირველ წელსვე ახალმა ჟურნალმა „[illegible]" დაიწყო სტატიების სისტემატური ბეჭდვა, რომ ესტონელი მკითხველისათვის გაეცნო მოძმე რესპუბლიკების კულტურა. ჟურნალის პირველი ნომერი 1941 წელს მთლიანად საქართველოს მიეძღვნა.

და, ბოლოს, სტატიის ავტორები ვრცლად იხსენებენ კულტურულ მუშაობას, რომელიც გაიშალა ომის შემდგომ ხანაში, აღნიშნავენ, რომ 1964 წლამდე ესტონურ ენაზე ქართველი ავტორების 50 ნაწარმოები ითარგმნა. გახშირდა საქართველოში ესტონური ხელოვნების, მეცნიერების, თეატრალური მოღვაწეების სტუმრობა. ესტონეთის თეატრებმა რეპერტუარში შეიტანეს რამდენიმე ოპერა და ქართული დრამატული ნაწარმოები.

ყველა ზემოთქმული, — ამბობენ სტატიის ავტორები, — მოწმობს, რომ ესტონეთისა და საქართველოს კულტურული და ლიტერატურული კავშირი ყოველდღიურად მტკიცდება, რომ გეოგრაფიულად დაშორებული ამ ორი ხალხის მეგობრობას საზღვარი არა აქვს.

ტარტუს უნივერსიტეტის ორგანო ჟურნალი „ენა და ლიტერატურა" აღნიშნულ სტატიას ურთავს განცხადებას, რომლითაც მიმართავს იურიევის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტებს, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია, მოიძიონ თავისი მოგონებები, რადგან უნივერსიტეტს განზრახული აქვს წიგნად გამოსცეს ესტონელ-ქართველთა კულტურული ურთიერთობის ისტორია. დოცენტ ევა სეიცს კი საკანდიდატო დისერტაციის თემად აღებული აქვს „ქალაქ იურიევში ქართველი სტუდენტების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ისტორია".

თედო ბეგიაშვილი

რედაქტორის მაგიერ ერ. ქარელიშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. ბურუშიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ი. ნონეშვილი, ბ. ჟღენტი, ხ. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, უ. ჯაფარიძე.

გამოიწერეთ გაზეთი
ლიტერატურული საქართველო
1966 წლისათვის.
ხელმოწერის წლიური ფასია 5 მან. 20 კაპ.
6 თვით — 2 მან. და 60 კაპ.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-87-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12572